წელიწადი V/I. 1905 წ. წელიწადი V/I.

# მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 12. კვირა, 3 აპრილი 1905 წლისა. № 12.

**შინაარსი:** ძმობა-ერთობაზე ლალადი ჩვენში.—ოფიციალური ცნობები დღევანდელი მოძრაობის შესახებ.—არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—დასაფლავება, თაგუნასი.—კიდევ ნაციონალიზმის შესახებ, ფ. მ—ძისა.—თავმოყვარეობა, მოთხრ. პოტაპენკოსი, თარგ. მოხუცისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგმ.—თფილისის დურგალთა ამქრის კრება, დამსწრესი.

## ძმობა-ერთობაზე ლალადი ჩვენში.

აგერ რამოდენიმე ხანია ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის ერთი ნაწილი გამუდმებით ლაპარაკობს და მსჯელობს კავკასიის ერთა შორის ძმობა-ერთობის, სოლიდარობის და სიყვარულის დამყარებაზე. პირველი შეხედვით გეგონებათ, რომ ძმობა-ერთობის ქადაგებას ბურჟუაზიის წრეებში მართლა დიდი საფუძველი აქვს, და ამიტომ მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი ორგანო ამოდენი ხანია ამ საგნებზე გაჩუმებულია და ხმას არ იღებს. შეიძლება ვისმეს ეჭვიც შეეპაროს, რომ ჩვენ არ თანავუგრძნობდეთ ადამიანთა შორის ძმობა ერთობის და სოლიდარობის დამყარებას. ჩვენ მეტათ მიგვაჩნია აქ იმის მტკიცება, თუ რამდენათ ვემსახურებოდით და ვემსახურებით შეძლებისდა გვარათ ძმობის, ერთობის და თანასწორობის დამკვიდრებას, როგორც ერთი ერის წევრთა, ისე სხვა-და-სხვა ერთა შორისაც. და თუ ჩვენ გაჩუმებული ვიყავით და ხმას არ ვიღებდით იმ დროს, როცა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის ერთი ნაწილი ძმობა-ერთობის და სიყვარულის ჩამოგდებაზე გაიძახოდენ და გაიძახიან კავკასიის მრავალ-რიცხოვან ერებს შორის, ეს მხოლოთ იმით აიხსნება, რომ ეს ქადაგება თავიდან ბოლომდე სრულიად ყალბ საფუძველზე არის დამყარებული და მას არავითარი ნიადაგი არა აქვს საზოგადოების იმ კლასებისათვის, რომლებსაც ამ ძმობა-ერთობას და სიყვარულს უქადაგებდენ. რომ ეს ქადაგება ყოვლად უსაფუძვლო და უნიადაგო იყო, ეს აშკარათ თვით იმავე გაზეთებმა დაამტკიცეს, რომლებიც ამ ძმობა-ერთობაზე და სოლიდარობაზე ლალადებდენ. და მართლაც თუ დღეს ისინი თავის გამოცემის ფურცლებზე ძმობა-ერთობაზე ეფიცებოდენ ერთმანეთს, მეორე დღეს გაიხედავდი, რომ იმავე გაზეთის ფურცლებზე სულ სხვა კილოზე წერდენ და მსჯელობდენ. დღეს რომ ერთა შორის სიყვარულზე და ძმობაზე გესმოდათ საუბარი, ხვალ მტრობაზე და შუღლზე იყო ლაპარაკი! და განა შეიძლებოდა, ეს სხვაფერ ყოფილიყო? განა ის წრეები და ის საზოგადოებრივი ჯგუფები, კლასები, რომლებიც ამ ძმობაზე და ერთობაზე გაიძახოდენ, მართლა ძმობის, სოლიდარობის მოესურნეები არიან დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ერთი ვიკითხოთ: ვინ იყვნენ ისინი, ვინც პირველი შეხედვით, ასე გაცხარებით ლაპარაკობდენ ძმობა-ერთობაზე? ესენი არიან ბურჟუაზიის წარმომადგენლები, იმის იდეოლოგი-ინტელიგენტები. და აი გამოდის, რომ ის კლასი, ის ჯგუფი, რომელიც თავის საზოგადოებრივი მდგომარეობით განხეთქილებას და წინააღმდეგობას ბადებს და ამტკიცებს საზოგადოებაში, რომლის არსებობა დამყარებულია საზოგადოებრივ განხეთქილებაზე და კლასობრივ წინააღმდეგობაზე, რომელიც უარყოფს ყოველგვარ სოლიდარობას და უწინარეს ყოვლისა ძმობის, ერთობის და თანასწორობის პრინციპის განხორციელებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სწორეთ ეს ჯგუფი კისრულობს ძმობა-ერთობის ჩამოგდებას კავკასიის სხვა და სხვა ერებს შორის! ისინი, ვინც სახლში, შინ, განხეთქილებასა და წინააღმდეგობას თესვენ და ამაგრებენ, გარეთ სხვა და სხვა ერებთან ოცნებობენ ძმობის და სოლიდარობის განმტკიცებაზე! სწორეთ რომ გასაოცარია ეს ამბავი! და ვინ მისცა მათ ეს უფლება, რომ კავკასიის სხვა და სხვა ხალხთა პირით ილაპარაკონ? ამითი ცდილობენ კავკასიის სხვა და სხვა ხალხების, ერების დაძმობილებას ისინი, ვინც შინ, თავის ერში მარტო განხეთქილებას ახდენდენ და ახდენენ, ვინც მთელი თავისი მოქმედებით ერთი ერის მოძმეთა შორის შუღლს და მტრობას ბადებენ. და მერე როგორი უნდა იყოს ეს ერთობა, ეს ძმური სიყვარული, რომელსაც ეს ვაჭ-ბატონები ქადაგებენ, როცა თავისთვის ცალკე ავტონომიის შექნაზე ოცნებობენ, სადაც ადგილი არ ექნება მათ მიერ მოძმეებათ აღსარებულ სომხებს, თათრებს და რუსებს. ერთი ვიკითხოთ, რაღა ძმობა და სიყვარული უნდა იყოს იქ, სადაც ძმათ აღსარებულს ადგილი არ ექნება? განა ასე უნდა გვესმოდეს ძმობა, ერთობა და სიყვარული? არა. ეს არ არის ძმობა, ამას არ ქვია სიყვარული! ყველა ეს იგივე კაცთა შორის მძულვარების პრინციპებია, მხოლოთ სხვა ქერქში გახვეული.

ერთა შორის დამყარდება ნამდვილი ძმობა, ერთობა, სალიდარობა და თანასწორება ისე, როგორც თვით ერში, მაგრამ ამის შემქნელი არ იქნება ბურჟუაზიული კლასი და მისი იდეოლოგი—ინტელიგენცია. ძმობის, ერთობის და თანასწორობის იდეა დღეს ოცნება აღარ არის. ყველა ამას მკვიდრი საფუძველი აქვს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამის მატარებელი არის მხოლოთ მუშათა კლასი და არავინ სხვა. მხოლოთ მშრომელი ხალხი განახორციელებს ძმობას, ერთობას და თანასწორობას, როგორც ერთი ხალხის წევრებში, ისე სხვა და სხვა ერებს შორისაც. მხოლოთ მუშათა კლასი ამზადებს ამის განსახორციელებლათ მკვიდრ ნიადაგს, ვინაიდგან ეს ნიადაგი შეადგენს მისი გათვითცნობიერების და მისი აღორძინების აუცილებელ პირობას. ძმობა-ერთობა, სოლიდარობა და სიყვარული არსებითათ ეწინააღმდეგება სხვის დაჩაგვრას, შევიწროებას ან სხვაზე გაბატონებას. ერთათ ერთი კლასი, რომელიც უარყოფს ყოველსავე ამას და იბრძვის ყოველგვარ დაჩაგვრისა და შევიწროების წინააღმდეგ, არის პროლეტარიატი. ამიტომ

მხოლოთ მას შეუძლია ძმობის, ერთობის და თანასწორობის დროშის ქვეშ ებრძოლოს იმათ, რომელთა არსებობა სხვის დაჩაგვრაზე და შევიწროებაზე არის დამყარებული. ამიტომ, როცა ბურჟუაზიის იდეოლოგები ერთა შორის ძმობა-ერთობაზე და სიყვარულზე გაიძახიან, ეს ჩვენში მხოლოთ ზიზღს იწვევს. ბურჟუაზიის ასეთი ოინები არ ახალია ძველია. ვინ არ იცის, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიაც დიდი რევოლუციის დროს ძმობას და თანასწორობას აწერდა თავის დროშაზე. ყველა უწყის თუ რა იყო ან რას ნიშნავდა ნამდვილათ ეს ძმობა და თანასწორობა. ეს მოასწავებდა ბურჟუაზიულ წეს-წყობილების ბატონობას, ე. ი. მუშა ხალხის დამონებას და გაყვლეფას. ესევე ითქმის დღევანდელი ძმობის და ერობის მომხრეებზედაც. ბურჟუაზია მხოლოთ სიტყვით ქადაგებდა ძმობას და ერთობას, საქმით კი მას თავის გაბატონება ქონდა მხედველობაში მუშა ხალხზე. ის კლასი კი, რომელიც ნამდვილათ ემსახურებოდა და ემსახურება ძმობის და თანასწორების დამყარებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არის მუშათა კლასი. ამას ამტკიცებს პროლეტარიატის ისტორია, ამას ღაღადებს დღევანდელი ცხოვრება.

## ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ

(იხ. «კავკაზი» № 83, 84)

6—9 თებერვალს ბაქოში მომხდარ ამბების შემდეგ ტერორისტთა პარტიამ ქალაქში გაავრცელა პროკლამაციები, სადაც ნათქვამი იყო, რომ რევოლიუციონერთა კომიტეტმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ბაქოს გუბერნატორს თავ. ნაკაშიძეს, ბაქოს პოლიცმეისტერს კაპიტან დემინსკის, ბოქაულის თანაშემწეს სულთანოვსა და უბნის ზედამხედველთ: თავ. მიქელაძეს და შახტახტინსკისო.

16 მარტს მოკლულ იქმნა უბნის ზედამხედველი თავ. მიქელაძე. საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, რომ თავ. მიქელაძე ეტლით მიდიოდა და თან ახლდა პოლიციელი ერემუშკინი. ფართო ქუჩაზე, რომელიც ევრედ წოდებულ „შავ ქალაქში“ გადის, თავ. მიქელაძესა და ერემუშკინს თავს დაეცა ექვსი შეიარაღებული უცნობი კაცი, რომელთაც რევოლვერი ესროლეს ეტლში მჯდომთ და ორივენი იქვე მოკლეს. მკვლელნი ორთავე მხრიდან დაეცნენ ეტლს და, როდესაც სროლა ატყდა, ერთი თავდამსხმელთაგანი თავისმავე ამხანაგმა დაჭრა, ისე რომ ტყვიამ ძვალი დაუმსხვრია. თანამოაზრეებმა დაჭრილ ამხანაგს წაართვეს რევოლვერი და მიიმალნენ. დააპატიმრეს დაჭრილი თავდამსხმელთაგანი, რომელმაც განაცხადა გურჯიძე ვარო.

იმავე საღამოს გაჩხრიკეს გურჯიძის სადგომი და დაიჭირეს მის ბინაზე მცხოვრები მისი ამხანაგი, რომელმაც განაცხადა,—ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ვარ, გვარათ ცისკარაშვილიო.

რამდენისამე დღის წინათ ბოქაულს მამედბეგოვს აცნობეს, რამდენიმე საეჭვო კაცი, ეს ერთი ხანია, გუბერნატორის ბაღთან თავს იყრის და ვიღასაც უთვალთვალებს, ალბათ, გუბერნატორსო. ამის შემდეგ, 22 მარტს, აცნობეს, რომ ისევ გროვდებიან ხსენებული საეჭვო კაცები გუბერნატორის ბაღის მახლობლათ, სადოვოი ქუჩაზეო. მივიდა თუ არა ნაჩვენებ ადგილას, მამედბეგოვმა დაინახა სკამზე მჯდომი ექვსი კაცი. მამედბეგოვის დანახვაზე ოთხი მათგანი განზე გადგა, ხოლო ორი ადგილიდან არ დაძრულა. მამედბეგოვი მიუახლოვდა და მოთხოვა,—პოლიციის სამმართველოში წამომყევითო, რაზედაც ხმა-ამოუღებლივ დათანხმდენ. როდესაც პოლიციის ეზოსთან მივიდენ, ალაყაფის კარებთან უცნობებმა ამოიღეს რევოლვერები და ესროლეს ბოქაულს; სწორეთ ამ დროს მამედბეგოვის ზურგიდანაც გაისმა რევოლვერის სროლის ხმა. გამოცვივდენ თათრები და დაიჭირეს მეორე უცნობი კაცი, რომელიც დაჭრილი აღმოჩნდა, ხოლო მესამე, თათრების ჩვენებით პოლიციელს დაეპატიმრებინა გუბერნატორის ბაღთან. მეოთხეს გამოუდგენ თათრები და პოლიციის სტრაჟნიკები და მოკლეს. ქალაქ ყუბის მცხოვრები, რომელიც მამედბეგოვთან იმყოფებოდა, მუცელშია ტყვიით დაჭრილი. დაპატიმრებულნიცა და მოკლულიც—სომეხები არიან.

მაშინვე იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, მივიდა დროებითი გენერალ-გუბერნატორი, თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელსაც პოლიციის პირველ ნაწილის სამმართველოში აუარებელი თათრობა დახვდა. თათრები ძლიერ აღელვებულნი იყვნენ იმის გამო, რომ უცნობთ ბოქაულ მამედბეგოვის მოკვლა განეზრახათ. იმდენათ ძლიერი იყო თათრების აღელვება, რომ, როდესაც გენ.-გუბერნატორი ამშვიდებდა და ემუდარებოდა,—დაიშალენით, ამ საქმეს გავარჩევთო, თათრების მხრით მოისმა ხმა-მაღლა ყვირილი: „როდემდის უნდა გველოდოთო?“. თუმცა ძრიერ აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ თავ. ამილახვრის ბრძანებამ და ხვეწნა-მუდარამ გაჭრა, ბრბო ზრდილობიანათ და თავდაჭერილათ დაემორჩილა თავ. ამილახვარს და დაიშალა. სპარსი და გავლენიანი კაცები ქუჩა-ქუჩა დადიოდენ ქალაქში და ამშვიდებდენ აღელვებულ მცხოვრებთ, რომელნიც შიშმა შეიპყრო და საჩქაროთ დუქან-მაღაზიებსა კეტავდნენ.

—

ტფილისის მაზრაში გლეხთა მოძრაობის თაობაზე შემდეგი ცნობებია შეკრებილი: მოძრაობა, რომელიც დაიწყო მდ. იორის მარცხენა ნაპირის სოფლის საზოგადოებათა გლეხებს შორის, მდ. იორის მარჯვენა ნაპირის სოფლის საზოგადოებათა გლეხებშიაც გავრცელდა. ყველგან ყრილობას ახდენენ და წითელ დროშებს აფრიალებენ მთავრობის საწინააღმდეგო ზედ-წარწერით. რომელთაც ამ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება არა სურთ, ემუქრებიან, აშინებენ და ამნაირათ იძულებულს ხდიან, რომ მათ შეუერთდენ. გერმანელ მოახალშენეთ ცივი უარი განაცხადეს უწესოებაში მონაწილეობის მიღებაზე.

—

როგორც ოზურგეთის მაზრაში გაგზავნილ საგანგებო რაზმის უფროსი გენ.-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი იუწყება, გურიაში საქმეთა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს და გადაასახლეს გურიისს მოძრაობის მეთაურნი. ახლა მცხოვრებლები სრულებით უარის უთქმელათ იხდიან ყოველგვარ გადასახადებსა და ყველა სავალდებულო დადგენილებასაც უკლებლივ ასრულებენ. გზა დაკარგული პოლიცია ახლა გონს მოვიდა და შეუდგა თავის თანამდებობათა ასრულებას. სასოფლო სამმართველოების გადამწვარ შენობათა ნაცვლათ ქვის ახალ სახლებს აშენებენ. რაც გენ.-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის რაზმი მოვიდა გურიაში, არც ერთხელ არ დარღვეულა წესიერება.

—

27 მარტს, ღამით, ერევნის რკინის გზის ლიანდაგზე ორ ადგილას გააფუჭეს გზა და მატარებლის დამტვრევასა ცდილობდენ, მაგრამ დროზე შენიშნეს და უბედურება თავიდან აიცდინეს. იმავე ღამეს ხსენებულ გზაზე ვიღაც ბოროტ-განზრახველთ ორ ადგილას გადაჭრეს ტელეგრაფის ყველა მავთულები, რომელიც დილის 8 საათამდე გააკეთეს და ამნაირათ ტელეგრაფის მოქმედება ისევ განაახლეს. ეჭვი არა, რომ ტელეგრაფის მავთულებსა და გზებს აფუჭებენ გაფიცული მუშები.

რათა უბედური შემთხვევანი თავიდან აცილებულ აქნას, განკარგულებაა მოხდენილი, რომ გზის ყველა ლიანდაგებზე საფოსტო, ბარგისა და სამხედრო მატარებლები თფილისიდან ერევნამდე ღამ-ღამობით სულ არ დადიოდენ, სანამ ეს განკარგულება შეიცვლებოდეს.

---

## არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.

**სოფ. საგარეჯო.** საგარეჯოელმა გლეხებმა შეიმუშავეს თავისი მოთხოვნილებანი, რომლებსაც აქ შემოკლებით ვბეჭდავთ.

1) სახელმწიფო ხარჯი და ბეგარა აუტანელი გახდა ხალხისთვის,—იგი მეტათ უზომოა და შეუბრალებლათაც გვახდევინებენ. ყველა ჩვენა გვცემს ჩვენსავე სახლში: ჩაფარი, გზირი, მამასახლისი, მწერალი, ბოქაული... ძარბევით იქამდის გაგვანადგურეს, რომ ახლა დასარბევიც აღარა გვაქვს-რა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, გადავარდეს სახელმწიფო ხარჯი და ბეგარა პირდაპირ გლეხობაზე გაწერილი და გაეწეროს იგი შემოსავლისა დაგვარათ ყველა წოდებას.

2) ფარული გადასახადიც აუტანელია. ჩვენ გალატაკებაში ამასაც დიდი ადგილი უჭირავს. სხვა სახელმწიფოებში გირვანქა შაქარი შაურზე მეტათ არა ღირს, ჩვენში კი აბაზია. იმათშივე ლურსმანი ფუთი 50 კ. ზევით არ ადის, ჩვენში 2 მ. 40 კ.; რკინა, ჩითეული, მარილი, წუმწუმა, ნავთი ჩვენში უვარგისია და მამასისხლათ ფასობს‘—სხვაგან კარგი და იაფიც არის, ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ—შემცირდეს გადასახადები, რომ ხალხმა წელი გაიმაგროს.

3) გონებითა და ზნეობით დაგვჩაგრა პოლიციამ, მამასახლის-სუდიობამ, სტრაჟნიკობამ. სულ მცირე ხანში, რაც გინდ რიგიანი მოხელე ამოვირჩიოთ, ჩაფარ-პოლიციის მონათ ხდთება. თვით პოლიცია შესაზირი შეიქნა: გვცემს, სულს გვართმევს ქრთამებით, ბეზღაობით, უსამართლობით... ძირს, მამასახლისი, ბოქაული, სტრაჟნიკი და თვით მაზრის უფროსი. ჩვენვე უნდა ავირჩიოთ წოდების განურჩევლათ ქევხა ანუ ბურღომისტრი.

4. იმ სამართალს, რომელსაც ჩვენ „მიროვოი სუდს‘‘ ვეძახით, დიდი ცოდო ადევს ხალხის წინაშე. იგი სასამართლო კი არა, გამტყავებელია ჩვენი. იგი ძირიანათ უნდა მოისპოს და დაწესდეს ისეთი დაბალი სასამართლო, რომლის წევრებათ იქმნებიან ადგილობრივ ენისა და ზნე-ჩვეულების მცოდნე პირნი, ხალხისგანვე არჩეულნი. ამაზე უფრო მაღლა სასამართლოშიაც ამორჩეული კეთილ-სინდისიანი პირები უნდა იყვნ. ყოველი მოსამართლე წოდების განურჩევლათ უნდა ასამართლებდეს განსაზღრულ ღირსებისა და უფლების საქმეს.

5. სკოლა, რომელსაც ჩვენი ხარჯით ვინახავდით, პოლიტიკის ასპარეზათ გახადეს. ჩვენ უკანასკნელ გრომს ვიხდით,—გვეგონა ჩვენ შვილებს ასწავლიან რამესო; მაგრამ ჩვენ რუსი მასწავლებლები გამოგვიგზავნეს ჩვენსავე ჯამაგირით, რომელსაც ქართულის ენისა არა იცოდენ რა. ამიტომ ვკეტავთ ამ სკოლებს და ვაცხადებთ ჩვენ გადაწყვეტილებას: გლეხს შეძლება აღარა აქვს; თვით მთავრობამ გახსნას სკოლა ყოველ სოფელში, სადაც ყოველი ბალღი, წოდების განურჩევლათ უნდა სწავლობდეს უფასოთ, რომ გონებით განვითარდეს და არ დაჩლუნგდეს.

6. სამღვდელოების წინააღმდეგი არა ვართ, თუმცა დღევანდელი სამღვდელოება არ გვიყვარს.
ჯამაგირს მთავრობისაგან იღებს და ჩვენ მაინც გვახდევინებს: კოდ პურს, ჯვარის საწერს, სამარხს... ამიტომ ჩვენ ვადგენთ: სიღარიბის გამო ჩვენისა, მღვდელს აღარ მიეცეს კოდის პური. თვით მღვდლებმაც გადააგდონ დროს შეუფერებელი ტაბლობა: ქელეხები, ნათლობაში ხარჯები და სხვა. ამასთან ეთხოვოს მთავრობას, რომ მიეცეთ მღვდლებს ისეთივე ჯამაგირი, როგორც დღეს ეძლევათ ნემეცების ახალშენებში პასტორებს.

7. იმ თავით საქართველოში ვენახის დიდ შემოსავალს ღვინის არაყი შეადგენდა. რა ფასისაც ღვინო მოგვივიდოდა ვენახიდან, იმავე ფასის არაყი გვეძლეოდა. ეს იყო დიდი შეღავათი ოჯახში. აქციზმა ეს დიდი წყარო შემოსავლისა სრულიად დაგვიხშო. ამიტომ ხალხმა ისევ სული რომ მოიდგას აქციზი უნდა მოისპოს და ნება მოგვეცეს ჩვენი ნაამაგარი მუქთათ ვხადოთ.

8. ტყის ბაჟს გვახდევინებენ და კომლზე გვაძლევენ 200 ჭიგოს, ერთ ურემს შეშას და ორიოდე მორს. რასაკვირველია, ეს მცირე ჭიგო ვენახს არ ყოფნის, ერთი ურემი შეშა ოჯახს არ ათბობს,—ამიტომ ჩვენ უნდა ვიშოვოთ სადმე. ბილეთით ყიდვა ძნელია და ძვირიც. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, გადავარდეს ასეთი წესი ტყის ხმარებისა: გლეხს უნდა ეძლეოდეს წელიწადში საკმარისი საჭიგო, საწვავი შეშა და აგრეთვე იარაღებისთვისაც საჭირო მასალა.

9. მიწის საქმე ძლიერ ცუდათ არის მოწყობილი: რადგან მთა და ჩვენი მინდვრები საეკლესიო ეყო და ერთბაშათ გადავიდა სახელმწიფოს ხელში, ამიტომ სვავებივით დაეხვიენ კერძო პირნი ძღვენითა და ქრთამებით ჩინოვნიკებს, მრავალი ადგილები გაახდევინეს საიჯაროთ და მახლობელი მამულები სოფლის გარეშე ხალხის ხელშია. ახლა რომ ჩვენ მინდორში გავდივართ, ჯერ უცხო მამულებზე უნდა გავიაროთ. ჩვენ ვნახავთ 10 და 15 ვერსზე სოფლიდან. ეს შორს დარჩენილი მამულები გაასაჩუქრეს მალაკნებზე და სხვა რუსებზე,—მათ მოუჭრეს საუკეთესო მამულები. თვით ჩვენი მინდორი ყველა მხრით სხვის მამულებშია შეჭრილი და რაღაც უმსგავსო ფორმისაა, რომელსაც დასაწყისი ჩვენ სოფელთან კი არა აქვთ, არამედ აქვს სოფლიდან ათი ვერსის მანძილზე. ამიტომ ასე უხერხულია ამ მამულების ხმარება ჩვენთვის. თუ არ შეიცვალა ასეთი განაწილება შიმშილით ამოვწყდებით.

10. იალაღები ცივის მთისა, რომელნიც ზედ დაგვყურებენ, იმთავით ჩვენი იყო. ზაფხულში ზედ ადიოდა ჩვენი ძროხა და იქ სათემოთ ვწველიდით. დღეს იგი წაგვართვეს. საწველი იალაღი ხელიდან გამოგვეცალა და ამიტომ საქონელიც გამოგველია და ლამის სული ამოგვხდეს. ჩვენ ვთხოულობთ, ეს იალაღები ისევ დაგვიბრუნდეს, როგორც ძველათ გვქონდა.

ამ ათ მუხლზე უწერია ხალხს ხელი და ყველას შესწავლილი აქვს. საგარეჯოელებს ეწვიათ მაზრის უფროსი ჯანდიერი. ამ უკანასკნელს ეგონა ხალხი გულახდით დამიხვდება და თავის გულნადებს მეტყვისო, მაგრამ მოტყუვდა. ძალიან ცივათ მიიღო ხალხმა, ახლო არ მიუდგა და არც პროგრამა წარუდგინა,—ხელ-მოწერილ პროგრამას, თუ დიდი მთავრობა მოვა, იმას წარუდგენთო. („ივერია“).

—

**სოფ. დიდ გომარეთში** (ბორჩალოს მაზრა) გლეხებს შემდეგი მოთხოვნები შეუმუშავებიათ მთავრობასთან წარსადგენათ:

1. მოისპოს დროებით-ვალდებულება და ჩიზნობა გლეხთა, მათი „ნადელები“ უსასყიდლოთ მათ სრულ საკუთრებათ გამოაცხადეს.

2. ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მიწა-ადგილები, რომელიც მას ჩამოაცალეს ბატონ-ყმობის გაუქმების დროს (ტყე, საბალახო, წყალი და სხვა).

3. სახაზინო და საეკლესიო გლეხებს მიეცეთ საკუთრებათ ის

სახაზინო და საეკლესიო ადგილები, რომლითაც ისინი დღეს სარგებლობენ.

4. მიწის ღალა არ აღემატებოდეს მთელი მოსავლის მეათედს; მემამულემ თავისი წილი თავისი ხარჯით უნდა წაიღოს.

5. დაუბრუნდეს გლეხებს ის ფული, რომელიც გადაიხადეს მათ თავის დახნის ან სხვა ხარკების გადახდისათვის; ეს ფული გადახდეს საუფლისწულო და საეკლესიო მამულებს, აგრეთვე იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ამ გადასახადით ისარგებლეს; ყველა ამ ფულით უნდა დაარსდეს ცალკე ფონდი, სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ (სკოლების, საავადმყოფოსა, გზებისა და სხვა).

6. ამავე ფონდის მისამატებლათ გლეხებს დაუბრუნდეს სამალაზიო გადასახადი თავის სარგებლით.

7. მოისპოს ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლოთ როგორც, მაგალითათ, ძღვნის მიტანა, გუთნით, ხარ-ურმით, მუშა ხელის მოხმარებით.

8. ეკკლესიის ყარაულობა დაევალოს თვით ეკკლესიას, გზების კეთება—ყველა წოდებას.

9. მოისპოს დრამის ფული და სხვა ყოველგვარი გადასახადი მღვდლის სასარგებლოთ, ეკკლესიის ხარჯები იმან გასწიოს, ვისაც სურს.

10. მოისპოს ბაჟები არაყსა, სპიჩკასა, ნავთსა, ერთი სიტყვით, ყველა არა პირდაპირი გადასახადი და მათ მაგიერ დაწესდეს შემოსავლის დაკვალათ გადასახადი, ხოლო ვისაც შემოსავალი 500 მანეთზე ნაკლები აქვს, სრულიად განთავისუფლებულ იქმნას გადასახადისაგან.

11. სახელმწიფო ტყეები და სხვა მიწები გადასცეს გლეხთა საზოგადოებას თავის სასარგებლოთ საწარმოებლათ.

12. წოდებათა გაუქმება და ფართო თვითმმართველობა როგორც სოფლის, ისე მაზრისა. თვით ხალხი უნდა ირჩევდეს თავის მოსამართლეთ და მმართველთ და უვლიდეს თავისსავე საქმეებს.

13. დაწესდეს უფასო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება ორივე სქესის ბავშვებისთვის 16 წლამდე დედა-ენაზე.

14. თავისუფალი ამორჩევა მსაჯულებისა, როგორც გაჭირვებულ და ღატაკ გლეხებისა, ისე მდიდარ გლეხებისა და მემამულეთა მხრივ.

15. თავისუფლათ არჩეული საგლეხო კომიტეტები.

16. აუცილებლათ თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, ბეჭდვისა, გაფიცვისა და კავშირისა; მთავრობა, ხალხის სურვილების გამომხატველი.

17. ასეთი წყობილების დაფუძნება შეუძლიან მხოლოთ ხალხის მიერ საყოველთაო პირდაპირ, თანასწორ და ფარულის კენჭის ყრით არჩეულ პირებს, დამფუძნებელ კრებას. (ცნ. ფურ.)

## სხვა და სხვა ამბები.

გაზ. „კავკაზში“ გამოცხადებულია: კავკასიის მცხოვრებთა მიმართ.

„ხელმწიფე იმპერატორის ნებით მოწვეული ვარ ჩემთვის ძვირფას კავკასიის მმართველათ. სამწუხაროთ სამსახური მიწევს მაშინ, როდესაც მუდამ დღე მოდის ახალ-ახალი ცნობა უწესოებისა, ცარცვა-გლეჯისა და ძალ-მომრეობის შესახებ. როგორც ძველს სალდათს, შეუძლებლათ მიმაჩნია მოწვევაზე უარის თქმა ასეთი ბძოლის დროს; მე მამხნევებს მხოლოთ ის ღრმა იმედი, რომ შესაძლებელია სრული დამშვიდება კავკასიისა. მე მწამს კავკასიელთა ხელმწიფისადმი ერთგულება. ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლათ მივმართავ ყველა მცხოვრებთ, შემწეობისათვის, რადგანაც ხალხის მშვიდობიანათ დაწყნარებისათვის საჭირო არის მცხოვრებთა რჩევა-დახმარება. მე მწამს სიბრძნე ხალხისა, მწამს, რომ კეთილ გონიერ უმეტესობის ძალას ვერ გაუძლებს ხალხის დაუდგრომელი ნაწილი. ხელმწიფე იმპერატორისაგან ბოძებული დარიგების ძალით, მე მოვიწვევ ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლების რჩევას. რჩევაში მონაწილეობას მიიღებენ: თავად აზნაურთა, მოქალაქეთა და სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი; აგრეთვე წარმომადგენელნი მართლ-მადიდებელი, სომეხ-გრიგორიანთა და მაჰმადიანთა სამღვდელოებისა. წარმომადგენელთა რჩევა განიხილავს: რა ზომები უნდა იქნას მიღებული ცარცვა-გლეჯისა და უწესოების მოსასპობათ; რა გვარი ცვლილება ესაჭიროება სასამართლოებს; და რამდენათ საჭიროა ერობათა შემოღება; გარდა ამისა, ვიღონებ ყოველ საშვალებას ადგილების დროზე გასამიჯნავათ და სახელმწიფო ადგილების რაოდენობის გამოსარკვევათ, რომ შეძლება გვქონდეს მიწის სივიწროვისაგან გაჭირვებული ადგილობრივი მცხოვრებნი დავასახლოთ. სრულიად სომეხთა კათალიკოზის უქვეშევრდომილესი თხოვნის თანახმათ, სომხების საეკლესიო მამულების ხაზინისათვის გადაცემა ხელმეორეთ განიხილება.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, მთავრობის დაწესებულებაში მოსამსახურე, განიმსჭვალება იმ რწმენით, რომ საჭირო არის ქვეყნის დამშვიდება და კეთილ-დღეობა, ხელმწიფე იმპერატორის მიერ ჩემს სახელზე ბოძებულ რესკრიპტის საფუძველზე დამყარებული. **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

—

**ქუთაისის** გენერალ-გუბერნატორს თავ. ჯამბაკურ ორბელიანს ახალი განცხადება გამოუცია. განცხადებაში მოხსენებულია, თუ რისთვის მიიღო მთავრობამ სასტიკი ზომები ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოთ და კერძოთ კინტრიშის საბოქაულოში, ქალაქ ქუთაისს, ბათუმსა და ფოთს. „მთავრობის საწინაღმდეგო მოძრაობის ასე ჩქარა გავრცელების ერთათ ერთი განსაკუთრებული მიზეზი ის აღმაშფოთებელი ძალმომრეობა, მკვლელობა და ცეცხლის წაკიდებაა, რომელსაც ხმარობენ ბოროტ-მოქმედების რამდენიმე ხელმძღვანელი და მომხრე ამ მოძრაობის გულ გრილათ მაყურებელთა და არ თანაგრძნობთა უმრავლესობის შესაშინებლათ. მოძრაობის ხელეძღვანელებმა მართლაც მოახერხეს და ძალა დაატანეს იმ ხალხს, რომელიც მათ არ თანაუგრძობს, მონაწილეობა მიეღო ისეთს ბოროტ-მოქმედებაში, რომელში გარევაც აუცილებლათ საზიზღარია ყოველი პატიოსანი კაცისთვის... მშვიდნო მცხოვრებნო, თქვენ გატყუებენ ეკონომიურ კეთილდღეობის დაპირებით, რაიც სრილიად მიუწდომელია, გაღებინებენ მონაწილეობას ავაზაკურ საქმეებში რუსის მთავრობისა და იმის აგენტების წინააღმდეგ, ხშირათ თვით განზე რჩებიან ეს მქადაგებელნი და მეთაურები და თქვენ კი თავს გახვევენ საშინელს პასუხის გებას კანონისა და სამხედრო სამართლის წინაშე... მტკიცეთ დაიმედებული ვარ თქვენზე და თქვენ ძალაზე და ღრმათ დარწმუნებული, რომ ნათლათ ხედავთ უსაშინელს ვნებას, რომელიც თქვენა და თქვენს შვილებს უდიდეს უბედურებას უქადით... შემაძლებინეთ მსხვერპლ შეუწირავათ შევასრულო უმაღლესი ბრძანება, თქვენის მშობელ ქვეყნის დამშვიდებისა და კანონიერ მმართველობის აღდგენის საქმეში... მოვალეობათ ვრაცხ ერთხელ კიდევ მოგაგონოთ, რომ მხოლოთ ამ პირობებით შეიძლება იმ სამწუხარო შემთხვევებისა და უბედურების თავიდან აცდენა, რაც აუცილებლათ უნდა მოყვეს მკაცრ ზომებს, რომელთ იძულებული გავხდები მივმართო, უკეთუ ვერ მოვიპოვებ თქვენგან საჭირო დახმარებას. ამ ზომებისაგან, სამწუხაროთ, დიდი განსაცდელი დაადგება თვით კეთილ საიმედო პირებსაც...

—

გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ სადგურ განჯიდან: 31 მარტს, შუადღის პირველ საათზე გაიფიცენ რკინის გზის ყველა მუშები, რომლებმაც ამავე დროს გადაჭრეს სადგურის ორივე მხრიდან ტელეგრაფის მავთულები და ყველა მოსამსახურეები ტეხნიკური და კომერციული განყოფილებისა და აგრეთვე ტელეგრაფის მოხელენი სადგურიდან გამორეკეს.

—

სამშაბათს, 24 მარტს, ვაჭართა მამასახლისის სადგომში მაღაზიის პატრონთა და ნოქართა არჩეულ პირების კრება იყო. დაადგინეს: 17 წლისა და ამ წელზე ხნიერ ნოქარს მაღაზიის პატრონებმა სადილისა და ჩაის ფულათ აძლიონ დღეში 30 კაპ., ხოლო 17 წელზე უმცროსებს—15 კაპ, ეს ნიხრი ყველასათვის სავალდებულოა; იმათ გარდა, ვინც ნოქარს, თანახმათ მისი სურვილისა, თვითონ აძლევს ჯამაგირს.

—

30 მარტს, საღამოს 7 საათზე, სადგურ სამტრედიაში ერთმა მოსულმა კაცმა და ყაზახ-რუსებმა სრულიად უმიზეზოთ ცემეს მემანქანეს ცინცაძეს და მატარებლის № 150 ქვეშ შეაგდეს. ასეთ პირობებში შეუძლებელია სამსახური. ვთხოვთ ჩვენ მთავრობას, დაგვიცვას უკანონო მოქმედებისაგან და დასაჯის დამნაშავენი.

**სამტრედიის დეპოს ყველა მემანქანენი.**

—

საერობო პარტია თავად ტრუბეცკოის მეთაურობით წვევს 25 აპრილისთვის მოსკოვში ყველა გუბერნიების ერობათა მოღვაწეებს.

—

ბელოსტოკის და სხვა ახლო-მახლო მაზრებში გლეხთა შორის პროკლამაციები ვრცელდება, რომლებშიაც ითხოვენ, არ გადაიხადოთ ხარჯიო.

—

ქ-კალიში გუბერნატორის თავჯდომარეობით შეიმუშავეს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებანი, გლეხებში თუ სერიოზული მოძრაობა დაიწყო. მთელი გუბერნია დაყვეს 7 რაიონათ და თითოში დანიშნეს განსაკუთრებული რაზმი ჯარებისა.

—

ქ. რეველში, 29 მარტს, საღამოთი, ორმა ბოროტ-გამზრახველმა ორჯერ ესროლა რევოლვერი ბოქაულ მილგინს. ტყვია გაჩერდა ქაღალდების კონაში, რომელიც ბოქაულს ეჭირა ხელში. დამნაშავენი მიიმალენ.

—

ვერას საქალაქო სკოლის 200 მოწაფე 23 მარტს მიადგა ნიკოლაევის სამოქალაქო სასწავლებელს და სწავლის შეწყვეტა მოითხოვა. რადგანაც ხსენებული სკოლის მთავრობამ თავისი მოსწავლეები ქუჩაში არ გამოუშვა, მოსულმა დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს სასწავლებლის ფანჯრებს და ერთიანათ ჩალეწეს. ამ დროს გაჩდა 12 ყაზახ-რუსი და როგორც მოგვხსენებათ, დაერიენ ბავშვებს. ერთი მოსწავლეთაგანი შეპყრობილი იქნა, ბევრი მოსწავლე და აგრეთვე ქუჩაში მიმავალი გამათრახებული.

—

თფილისის რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები, გარდა „კავკაზისა“, ორშაბათობით აღარ გამოვა.

—

გაზეთ „ივერიას“ ატყობინებენ ქართლიდან: სოფელ მეჯვრის-ხევში და ახლო-მახლო სოფლებში კაზაკებს შეუპყრიათ **რვა სოფელში მოსიარულე კაცი** და გორში წაუყვანიათ. გზაში მათ შვიდი კაცი წამოსწევიათ და დაჭერილების განთავისუფლება მოუწადინებიათ, მაგრამ ვერაფერს გამხდარან, რადგანაც კაზაკები ასზე მეტი ყოფილან.

—

გაზეთების სიტყვით პეტერბურგში შემდგარა განსაკუთრებული კომისია გურიისა და პოლონეთის მოძრაობათა გამოსაკვლევათ.

26 მარტს პროფესიონალური სკოლის მოსწავლე ქალებმა სასწავლებელში არეულობა მოახდინეს. სკოლის ფანჯრები სულ ერთიან ჩალეწეს. თხოულობენ გამგის დათხოვნას.

—

27 მარტს, საღამოს, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, საკუთარ საკანდიტუროში მოკლეს არტემ ალიხანოვი. მკვლელობის მიზეზათ ვითომ მუშებთან უდიერ ქცევას ასახელებენ.

—

ყარსის რკინის გზაზე მხოლოთ დღითი დადიან საქონლისა და სახალხო მატარებლები.

—

23 მარტს ბაკურიანის სადგურზე თავი მოუყრია ოთხი სოფლის გლეხ-კაცობას და ერთმანეთისთვის ფიცი მიუციათ, ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ვიბრძოლოთო. დაუფიცებიათ აგრეთვე რკინის გზის მუშები და სადგურის მოსამსახურენი.

—

**გაფიცვები.** მე-8 ნაწილის რკინის გზის მუშები გაიფიცენ და მუშაობაზე ხელი აიღეს. სადგურ ყარაიაზიდან გაემგზავრენ აქსტაფისაკენ და მუშაობას დასთხოვეს ყველა მოსამსახურე, თხოულობენ ხელ-ფასის მომატებას.

—

21 მარტს სარაჯიშვილის ქარხნის მუშებმა მოთხოვნილებები წარუდგინეს ქარხნას პატრონს. ბ-ნმა სარაჯიშვილმა დააკმაყოფილა ყოველივე მუხლი მოთხოვნილებისა.

—

როგორც ქუთაისიდან იუწყებიან, მთელი დირექციის სახალხო სკოლებში სწავლა შემწყდარა.

—

თფილისის ნოქრების გაფიცვა გამარჯვებით გათავდა. ვაჭრობა იწყება დილის რვა საათზე და თავდება საღამოს ექვს საათზე.

—

ხაშურსა და გომის სადგურებს შუა გაფიცულ რემონტის მუშების მაგივრათ ჯარის კაცები ჩაუყენებიათ.

—

თფილისის ლუდის მექარხნეებიც დაყვენ გაფიცულ მუშათა მოთხოვნილებებს, ხსენებულ ქარხნებში პირველი აპრილიდან შემოიღებენ ცხრა საათის სამუშაო დღეს; თითოეულ მუშას მოემატება თვეში ხუთი მანეთი: ავათმყოფობის დროს ორი კვირის ვადაში ჯამაგირიც მიეცემა და უფასო საექიმო დახმარებაც.

—

ჩვენ გვწერენ:—**გუდაუთიდან** 18—19 მარტს. აქ მოხდა მუშათა მოძრაობა. გემების დამტვირთველ მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. სოხუმიდან მოიწვიეს ორი როტა სალდათი.

—

**ნოვოროსისკიდან.** გემების დამტვირთველ მუშათა არტელმა განაახლა მუშაობა. დღეს მუშაობა ჩვეულებრივ სრულდება; მუშაობის აკვეთის მიზეზი იყო ქირის სიცოტავე, ბინათა უსუფთაობა, უდიერი მოპყრობა და სხვა. წინათ ყოველ ათას ფუთზე მუშათა არტელი იღებდა რვა მანეთს. მუშათა ყოველივე მოთხოვნა დამქირავებელთაგან დაკმაყოფილებულ იქმნა, და მუშებმაც შეწყვეტილი მუშაობა განაახლეს. ათას ფუთზე ეხლა მუშები 10 მ. იღებენ.

—

**ქერჩიდან,** 23 მარტს. აქ იკრიბებიან ახლათ გამოწვეული სათადარიგო ჯარის კაცნი, რომლებმაც უნდა შეამსონ აქ მდგომი ევპატორიის პოლკი, შორეულ აღმოსავლეთში

გასაგზავნათ გამზადებული. სწორეთ შებრალების გრძნობა გებადებათ გულში, როცა ხედავთ ამ სახლ-კარზე, ცოლშვილზე და ოჯახზე მოწყვეტილ, წელში მოხრილ-მოქანცულ ჯარის კაცთ, რომლებიც, სხვა და სხვა პოლკის ფორმაში გახვეულნი, თოფებით მხარზე, თავ-ჩაქინდრულნი დადიან ქუჩებში პატრულებათ და «შინაურ მტერთა» შესაშინებლათ სამხედრო გალობებს გაჰყვირიან! გუშინწინ ისინი, სანამ ამ სალდათის ფორმას ჩაიცვამდენ, ჩვენ ბიუროკრატიას «შინაურ მტრებათ მიაჩნდა და მისს «დასამშვიდებლათ» ტყვიანაგაიკას იშველიებდა, დღეს კი ეს გუშინდელი «ბუნტოვჩიკი» სამშობლოს დამცველი გამხდარა და აღმოსავლეთში მიემგზავრება, რომ იაპონელები მანჯურიიდან გადევნოს. ცოცხალი მეტამორფოზა სწორეთ ამასა ქვიან, თუმცა კი სრული მეტამორფოზა მხოლოთ სახით ჩანს, საქმით კი არ მტკიცდება. ოცს მარტს ქერჩში ხმა გავრცელდა, რომ სათადარიგო ჯარის კაცთ უნდათ აქაურ ებრაელებზე გაილაშქრონო. მთელი ქალაქი ამ ხმამ აალელვა, ყველა თავის დაფარვას ცდილობს, უნდა თავს უშველოს, საზოგადოება საკონებელში ჩავარდა, არ იცის, რით აიკილოს ეს საშიშარი წამები, ყველა ქუჩებში პატრულები დადიან, პოლიცია გაფაციცებულია... მაგრამ გადის ჭირო, დღე, მეორე, მშვიდობიანობა არსაიდ დარღვეულა, სათადარიგო ჯარის კაცი არსად არავითარი უწესოება არ ჩაუდენიათ; პირიქით, თვითონ ამ ხმებით აღელვებულნი ბევრს ცდილობდენ, რომ ეს ხმები არ განხორციელებულიყო. ჩანს, რუსის ხალხმა იგრძნო და იცნო კიდეც პროვაკატორთა და ხულიგანთა ჰანგები და უფრთხის იმათ კლანჭებში ჩავარდეს.

—

**ქუთაისიდან** გვწერენ: სტოლიარების და შპალიერების გამკვრელების ალებსა და ქარგლებს ურთიერთ შორის მოლაპარაკების შემდეგ, დაუდგენიათ: 1) მუშაობა იწყებოდეს 1 აპრილიდან 1 წიფობისთვემდი დილის 6 საათზე და თავდებოდეს საღამოს ექვსზე. ზამთარში—1 წიფობისთვიდან 1 აპრილამდე მუშაობა დაიწყება დილის 7 საათზე და გათავდება საღამოს 7-ზე. დასვენება დილას, საუზმეზე ნახევარი საათი, ნაშუადღევს, სადილისათვის საათ-ნახევარი. კვირა-უქმე დღეების წინ მუშაობას ხელი უნდა აუშვან საღამოს 5 საათზე და ფული უნდა ეძლეოდეს მუშებს თავ-თავის დროზე. 2) ალები ვალდებული არიან მოეპყრან თავიანთ შეგირდებს მამობრივათ და თავაზიანათ; იზრუნონ მათ ტანთ და ფეხსაცმელზე, სასმელ-საჭმელზე. კვირა-უქმე დღეებში უნდა მისცენ ნება საკვირაო სკოლებში სიარულისა და სწავლის შეძენისა. აიკრძალოს უქმე დღეებში ყოველივე ვაჭრობა.

—

დღევანდელ მოძრაობას **სვანეთშიაც** აუწევია. იქ, სადადიანო სვანეთში, ლაშხეთის საზოგადოების კანცელარიაში სხვა და სხვა გადასახადების გამო ბოქაულს ლ. მახარაძეს სვანები დაუბარებია. იმათ 17 მარტს მოუყრიათ თავი, და გამოუცხადა თუ არა ბოქაულმა შეკრების მიზანი, იმ წამსვე მიაყვირეს მას: გადასახადებს გადახდა ჩვენ არ შეგვიძლია, ნუ გვაწუხებ, თავი დაგვანებე, საიდანაც მოსულხარ, იქ წადი, შენ საცოდაობას ნუ გვაჩვენებო, და ბოქაულსაც მოუშორებია ქუთაისისათვის, სადაც ის გუშინ-წინ ჩამოსულა და შეუჩივლია მთავრობისათვის თავისი თავ-გადასავალი ახლად დანიშნულ ადგილზე.

22 მარტს ქუთაისში იმავე ლაშხეთიდან ჩამოვიდა მღვდ. ერემიაშვილი, რომელიც იმავე საზოგადოების მრევლს დაუთხოვნია: მოგვშორდი, აქ ნუ ხარ; შარშან რომ დრამა წაიღე ის დაგვიბრუნე, თორემ მოგკლავთო. მღვდელიც თავქუდმოკლეჯილი გამოქცეულა და დღეს ეპისკოპოზს შეჩივლა ეს ამბავი.

—

**ზემო სვანეთიდან** გვწერენ: წასულ თვეებში მოედვა ზოგ ზოგ სოფლებში ინფლუენცია და ოჯახი არ ყოფილა, რომ ავათმყოფი არ ყოფილიყოს; არსად ექიმი, არსად წამალი. მთავრობას ყავს დანიშნული ექიმი სვანეთისათვის, რომელსაც საეროპო საშვალებიდან ეძლევა ჯამაგირი, მაგრამ ეს ექიმი ქუთაისში ცხოვრობს, სადაც იგი კერძო პრაქტიკას ეწევა. ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ ხდება ეს, რომ ექიმი დანიშნულია სვანეთისათვის, რისთვისაც ჯეროვან სასყიდელს იღებს, ხოლო იმავე დროს სვანეთში მარტო თვენახევარს ატარებს და დანარჩენ დროს კი სიახლოვესაც არ ეკარება. ეს აშკარა მაგალითია იმის, თუ როგორ ზრუნავს მთავრობა ხალხისთვის. დროა, რომ ამ უსამართლობას ბოლო მოუღოს თვით ხალხმა, იმ ხალხმა, რომელსაც აქამდე ასე მასხარათ იგდებდენ, რომელსაც ასე ატყუილებდენ.

---

## კორრესპონდენცია

**თფილისი.** აფიცერთა საზოგადოების ტანისამოსის სამკერვალო. ხსენებულ საზოგადოებას აქვს თავისი სახელოსნო—სამკერვალო. ამ სახელოსნოში მუშაობა იწყება დილის 6 საათზე და თავდება ღამის 10—11 საათზე. ამ ხნის განმავლობაში ქარგლები და იმათი შეგირდები სხვადასხვა რიგათ ჩამწკრივებულნი გძელ სტოლზე და დილიდან შუაღამემდის ჩაჩაჩანებულნი ნემსს და ძაფს თავაუღებლათ. ყველა აქ მომუშავეთ ისეთი ფერი ადევთ რომ ისინი კაცს დიდი ხნის ავათმყოფი ეგონებათ: ყველა გამხდარი, გაყვითლებული და თვალებ-ჩაცვენილია: მხოლოთ ზოგიერთებს, რომლებიც ახალი მოსულნი არიან, ეტყობათ ჯერ კიდევ აქვს სიცოცხლის ნიშანწყალი. მაგრამ გაივლის რამდენიმე ხანი და ესენიც ისეთივე ხდებიან როგორც ყველანი. აქ არ იციან რა არის, ზრდილობიანათ მოპყრობა, დასვენება ან რაიმე საჭმელი. საჭმელს, ე. ი. ლობიოს: კართოფილს და სხვ. უთოების გასაცხელებელზე ხარშავენ. იქვე სამუშაოს ერთ კუნჭულში დგას ერთი ჭუჭყიანი სტოლი, რომელიც იმავე დროს სკამის დანიშნულებასაც ასრულებს, და იმაზე ჭამენ პურს რიგ-რიგობით: ჯერ ერთი რიგი მერე მეორე და ასე ორმოცდა ათი კაცი.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ეზოს კარებში სალდათი დგას, რომელიც მუშებს იცავს გარეშე პირების ზეგავლენისაგან და რომელიც ჩხრეკს მუშებს წასვლის დროს. მუშაობა აქ ნაჭრობით არის, რაც ხელს უწყობს მუშების უმოწყალოთ გაცარცვას, ე. ი. მცირე ქირას და დიდ, უზომო, სამუშაო დღეს. დღეს ყოველგან 9 და 8 საათის სამუშაო დღეს თხოულობენ, და აქ კი 15—16 საათს მუშაობენ დღე-ღამეში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უზომო დაბეჩავებას თან ახლავს სრული გონებრივი სიბნელე, თავისი მდგომარეობის სრული შეუგნებლობა. რა ეშველება, როდის შეიჭრება ამ სახელოსნოში სინათლის შუქი და იქაურ მუშებსაც გამოაფხიზლებს, გამოიყვანს იმ დაბეჩავებულ—მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი დღეს იმყოფებიან? დღევანდელმა საერთო მოძრაობამ თითქო აქაც შემოაშუქა და იმედი აძლია ზოგიერთებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. თითქო ბრძოლაც გამოუცხადეს თავის მჩაგვრელებს, მაგრამ უმრავლესობის შეუგნებლობის წყალობით, ეს ჩაქრა და დღეს ყოველივე ისევ ძველებურათ ხდება. თუ რა ზომამდის აწევს აქ გო-

ნებრივი საბნელე, ეს, სხვათა შორის, იქიდან ჩანს, რომ აქაურ მომუშავეებში, მუშათა კლასის სასირცხოთ, ამოჩნდა ისეთები, რომლებსაც თავიანთ დაბეჩავებულ-მდგომარეობის მიზეზის გამოსარკვევათ მკითხავს მიმართეს. განა ამაზე მეტი დაცემა და გონებრივი სიბრმავე შეიძლება? ვაი, სირცხვილო!

ჩუმი მეთვალყურე.

—

**ქვემო იმერეთი.** ყოველგან, სადაც კი ახალმა მოძრაობამ ფეხი მოიდგა, სასურველი შედეგიც მოიტანა. საერთო ინტერესების შეგნებამ მცხოვრებთა შორის სოლიდარობა დაბადა. დღევანდელ უსამართლობის წინააღმდეგ თავგამოდებულ ბრძოლას თან დაყვა შიგ ხალხში ურთი-ერთ შორის სამართალი, მიუდგომელი და მიუყიდელი. დიდი ხანი არაა, რაც ქვემო იმერეთში აშკარა მოძრაობა დაიწყო. მოძრაობამ, აღმოცენებულმა აგრარიულ ნიადაგზე, პოლიტიკური ხასიათი მიიღო. დღეს ხალხმა შეიგნო, რომ ჩვენი პოლიტიკური წეს-წყობილება მთელი თავისი ძლიერებით იცავს არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას, ხელოვნურათ ამაგრებს მას და მით საწარმოვო ძალთა თავისუფალ განვითარებას ხელს უშლის. მთავრობა დაუფარავათ უჭერს მხარს ხალხის მჩაგვრელ ექსპლოატატორებს. ეს რა არის, კიდევ უარესი: თვითონ ის ხდება ხალხის უსასტიკესი მჩაგვრელი და ყოველი ადამიანური გრძნობების უსამართლოთ მთელავი. მას უნდა ხალხი უსიტყვო, ყურ-მოჭრილ მონათ გახადოს და უსამართლობის წინააღმდეგ ამაღლებული ხმა ციხე-ნაობახით, მათრახით და ტყვიით ჩააქროს...

ქვემო იმერლებმაც შეიგნეს დედა აზრი დღევანდელ მოძრაობისა ისე, როგორც სხვა მისმა მოძმეებმა რუსეთის ყოველ კუთხეში. მათ შეწყვიტეს ყოველი დამოკიდებულება მთავრობასთან, მთავრობის სასამართლოებთან და შემოიღეს სახალხო სამართალი. ქურდობას თუ სხვა ბოროტ-მოქმედებას ფიცხლავ იძიებენ ხალხის მიერ არჩეულნი და ხალხის ნდობით აღჭურვილნი პირნი და ხალხის მიერ არჩეული მსაჯულები არჩევენ საქმეს. ამის შემდეგ ქურდობამ და სხვა ბოროტ-მოქმედებამ არა თუ იკლო, თითქმის სულაც მოისპო. სასჯელი-კი უმეტესათ ზნეობრივია... ქურდობაში და ავაზაკობაში სახელგათქმული კუთხე, ქუთაისის გუბერნია, დღეს,—როდესაც ხალხმა მთავრობის ყველა ორგანოებთან დამოკიდებულება შეწყვიტა, და თითონ განაგებს საკუთარ საქმეებს, სრულიათ გამოიცვალა.

სირიუსი.

—

**ქ. თელავი.** 12 მარტს ადგილობრივ მაღაზია—დუქნების ნოქრებმა ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ, მიმართეს მაღაზიების პატრონებს და მოთხოვეს, რომ დღეის შემდეგ ყველა მაღაზია—დუქნები გაიღოს ხოლმე დილით რვა საათზედ. დაიკეტოს სადამოს რვა საათზე, თუ არ აგვისრულებთ,—აღარ გვინდა თქვენთან სამსახური. ამავე დღეს, სადამოს, შესრულდა თუ არ რვა საათი, ნოქრებმა მიატოვეს დუქნები და იწყეს ყვირილი—დაკეტეთ და გამოდით ჩვენთანო. ალებში ამოჩნდენ მოწინააღმდეგენი, მათ დუქნებს ნოქრებმა ქვები დაუშინეს.

22 მარტს მოხდა გაფიცვა აქაურ სასწავლებლებში: ქალების პროგიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სკოლებში. დილით რვა სათზე სამოქალაქო სასწავლებელის შეგირდებმა მოიყარეს თავი გადაცეს სასწავლებლის უფროს თავისი მოთხოვნები და „ურას“ ძახილით გაემართენ სასულიერო სასწავლებლისაკენ; რომლის რკინის კარები ჩაკეტილი დახვდათ; დამწყვდეულმა შეგირდებმა მოითხოვეს კარების გაღება, მარა ამათ ნახეს—რა მოსწავლეებმა თითონ გაალეს კარი, შეუერთდენ ერთმანეთს და გასწიეს ქალების პროგიმნაზისკენ, სადაც წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. მოვიდნენ უფროსი შეგირდი—ქალები (ნაწილი) და ყველანი ერთათ სიმღერით გაემართენ ქალაქის ბაღისკენ. აქედამ ურას ძახილითა და პროკლამაციების ფანტვით გაიარეს ბაზარში, მივიდენ ფერისცვალების ეკლესიასთან და გაჩერდნენ იქ ერთ გაშლილ მინდორზე; ორმა მოწაფემ: ქალმა და ვაჟმა წარმოთქვეს შესაფერი სიტყვა, რომლებშიაც აუხსნეს მშობლებს მიზეზი დღევანდელი მღელვარებისა და სთხოვეს თანაგრძნობა. შემდეგ მშვიდობიანათ დაიშალენ თავ-თავიანთ სახლში.

არ გაუვლია ამ ამბის შემდეგ ნახევარ საათს, რომ მოისმა მაღაზიების და ყველა სხვა საწვრილმანო დუქნების დარაბების ჯახაჯუხი. პატრონები ეჩქარებოდენ მაღაზიების დაკეტვას, რადგანაც ნოქრებმა მიანებეს თავი და ქუჩაში თავის მოყრა იწყეს. მათ შეუერთდენ ქარგლები და იმათი შეგირდები. თავმოყრილმა ხალხმა გასწია ს. კურდღელაურში აბრეშუმის სახვევ ქარხანაში, სადაც ყოველ დღე მუშაობს ასამდე ქალი, დიდი და პატარა. (მათი ხელფასი 10 კაპ. 60 კაპეიკამდე) მისულებმა ხელი აალებინეს ქალებს მუშაობაზე იმ დრომდის, ვიდრე სამუშაო ფასს არ მოუმატებენ. მაგრამ ქირის მომატებაზე მექარხნემ უარი განაცხადა და თან დასძინა, რომ მე სხვა ქალაქიდან დავიბარებ მუშებსო; ამაზე უპასუხეს, რომ თუ მაგრე მოიქცევი, და არ აასრულებ ჩვენ თხოვნას,—ქარხანას გადაგიბუგავთ-გადაგიწვავთო. შემდეგ ნოქრებმა მოილაპარაკეს თავიანთი საჭიროების შესახებ.

მეოცე საუკუნე.

—

**ჯავახეთი.** არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, საიდანაც კორესპონდენციები არ დაბეჭდილიყოს ჩვენს დრო-გამოშვებით გამოცემებში, მაგრამ ჯავახეთზე კი არავის არაფერი უთქვამს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, უმთავრესათ ის არის რომ ეს მხარე მოწყვეტილია, რომ აქ არარის არათუ რკინის გზა, არამედ ჩვენ მოწყვეტილი ვართ რიგიან შარა გზებსაც. მაგრამ აქაც ცხოვრობს ხალხი, რომელიც ასე თუ ისე უკვირდება თავის ჭირვარამს და გაჭირვებულ მდგომარეობას. ამ უკანასკნელ დროს ჯავახელების ყურადღება მიიქცია გურიის მოძრაობამ, გურიის ამბებმა. დღეს ყველას გურია აკერია პირზე,—„გაუმარჯოს გურიას!“—გაიძახის ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სომეხი თუ ქართველი. სოფლებში ვისაც გაზეთები მოდის, მოსვენება არა აქვს, ხან ერთი მოდის და ხან მეორე,—მასწავლებელო, შენი ჭირიმე, ერთი კიდევ წაგვიკითხე ეგ გურიის ამბებიო.—მერე ამითაც არ კმაყოფილდებიან და გაზეთის ნომრები სახლში მიაქვთ, სადაც იწვევენ წერა-კითხვის მცოდნე თავიანთ შვილებს და აკითხებენ. წარმოიდგინეთ, კარეშე სოფლიდანაც კი გამოეგზანათ კაცი—ეგ გაზეთი ან გვათხოვე, ან ფულათ მოგვყიდეო. ამგვარათ, ჯავახმაც თვალები გაახილა და დაინახა დღევანდელი ცხოვრების წყლულები რომლებსაც აქამდე ვერავინ ამჩნევდა.

ბაგრატ ბეთანელი.

—

**დ. ტყიბული.** ტყიბულის მუშები მოწყვეტილი ვართ ყველაფერს, რაც კი ადამიანის ცხოვრებისათვის არის საჭირო. ვმუშაობთ მაღაროებში, ან ბაწრებზე ჩამოკიდებული. ამ ბაწრებს კიდევ გაუძლებდით, რომ ჩვენი შრომა დაფასებული იყოს იმდენათ, რომ თავის რჩენა შეგვეძლოს. ჩვენი დღიური ჯამაგირი პურში და ყველში გვეხარჯება. მაგრამ სად ვეღირსებით ამ პურს, ყველს და სხვა ამისთანებს? თვით ჩვენი ხაზეინებისვე დუქანში, ასე რომ, ქირას, რასაც ჩვენ ვითომ ვღებულობთ, ისევე იმათ მიაქვთ. როცა უზომო გაჭირვება დაგვადგა, ჩვენ თვითონ შეუდექით ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს, ჩვენ მივხვდით, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელი იყო. მაგრამ უფრო გამწვავდა ჩვენი მდგომარეობა ინჟენერ ალიბეგოვის მოსვლის შემდეგ. ამ გაუბატონის მოქმედების წყალობით, ჩვენი სიცოცხლე ან სრულებით უნდა გაწყალებულიყო, ან უნდა გამოფიტულიყავით; ან სრულებით უნდა გამოვეთხოვებოდეთ სიცოცხლეს და ყოველივე მოგვეთმინა, ან და, უნდა შევბრძოლებოდით. ჩვენ უკანასკნელ ვარჩიეთ და მივიტანეთ იერიში ჩვენს შემავიწროებლებზე. მართა-

ლია, ბევრს ვერავერს მივაწვიეთ, მაგრამ, ეს ხომ დაწყება იყო და აწი ჩვენ ვიცით. ჩვენ დასამშვიდებლათ დიდი შრომა მიიღო ბ. სიმონ ქაჯაიამ, რომელმაც დროებითი მშვიდობიანობა ჩამოაგდო, მაგრამ მე ძალიან დამაფიქრა ამ გარემოებამ: ვის სასარგებლოთ მიიღო ბ-ნ ქაჯაიამ ესეთი დაუფასებელი შრომა? ნუ თუ ჩვენ სასარგებლოთ?! ამას ვერ დავიჯერებ, სად პოდრიადჩიკი და სად სინდისი და პატიოსნება, ეს ორი ძალიან შორი-შორს არის ერთმანეთზე. აი საქმე რაშია, ბ-ნს ქაჯაიას მიცეს ნარდათ საქმე (პოდრიადი), მან კი თავის ცოლის ძმას ი. ბ. ყიფიანს გადაცა. ყიფიანმა ჩვენ გადმოგვცა დასამუშავებლათ უფრო იაფ ფასში რასაკვირველია. ჩაბარების დროს გაზომეს ტეხნიკმა და ი. ბ. ყიფიანმა ჩვენი ნამუშევარი. ჩვენთვის არაფერი არ უთქვამს მას, და როცა ქუთაისიდან ჩამოვიდა, გულ-დამშვიდებული გამოგვიცხადა, რომ წავაგეო. ჩვენ ვკითხეთ: როგორ თუ წააგე, როცა თავ-გადადებული ვმუშაობდით (16 საათს დღე-ღამეში) დაუსვენარათ. ჩვენ ვკითხეთ: რამდენი საჟენი გამოვიდა-თქვა? იმან გვიპასუხა მოწყენილათ: ას-ოთხმოციო. ჩვენ შევატყვეთ ეშმაკობა და ვიკითხეთ კანტორაში, სადაც გავიგეთ ჩვენი ნამუშევრის სინამდვილე. გავიგეთ, რომ ბ. ი. ბ. ყიფიანმა ასი ოთხკუთხი საჟენი მოგვპარა, ასე, რომ ორას-ოთხმოცი საჟენის მაგივრათ გვიანგარიშა ას ოთხმოცი. ნ. სიმონ ქაჯაიამ გვთხოვა, რომ ეს ინჟინერისთვის არ გვეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგდებით დაგვემუქრა. ასე უსინდისოთ მოგვექცენ ჩვენ ხსენებული ვაჟბატონები. გვნახეს საწყალი და უენო ხალხი და მოინდომეს ჩვენი გასრესა, მაგრამ დადგება იმათთვისაც განკითხვის დღე.

ერთი მუშათაგანი.

—

**შიგნით-კახეთი.** «ჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო», იტყვიან რუსები; ეს ითქმის ეხლა ჩვენ გლეხობაზე. ესენი სხვებზე ნაკლებათ არ ითმენდენ ათას-გვარ გაჭირება-შევიწროებას, შიმშილ-სიღატაკეს, მარა არ ეგონათ, თუ მათაც შეეძლოთ ხმის ამოღება და სამართალის მოთხოვა. ამდენი ხნის მიეუჩვეულებმა ამოიღეს ხმა, კაი ხნის დაგუბებული ჯავრი და მწუხარება გადმოანთხიეს უცებ. დაიწყო მოძრაობა რამდენიმე სოფელში თითქმის ერთ დროს. ს. ვაჩნაძიანში გლეხებმა ჩამოაცალეს თავადებს შინა მოსამსახურენი, პურის მცხობლები, მოურავები, მეზვრები, მწყემსები.

წარუდგინეს მემამულეებს მოთხოვნილებანი. 24 მარტს ს. ენისლის, გრემის, ნაფარეულის გლეხობა ერთათ თავმოყრილი ესტუმრა მემამულეებს ჯერ-ჯერობით მოთხოვნილებაზე ხელის მასაწერინებლათ. ენისლის ერთი მემამულე ს. ჯ. დახვდა მათ შეიარაღებული კაცებით (ოსებით), ლანძღვა-გინებით და მუქარით, რამაც ვერ შეაშინა ერთ სულ და ერთ ხორცათ გარდაქმნილი გლეხობა. თავადი რომ ვერას გახდა გაძალიანებით,—იკადრა ბოლოს დამორჩილებოდა ხალხის სურვილს და მოაწერა ხელი. ამავე სოფელში ერთი ქვრივი კნეინაც მეტათ განრისხებული შეხვდა ხალხის «თავხედობას» და ცივი უარი გამოუცხადა თხოვნის შესრულებაზე. ამის პასუხათ გაბრაზებულმა ბრბომ ქვა დაუშინა მის სახლს და ფანჯრის მინები ჩაუმსხვრია. გაემართენ ახლა სხვებთან,—მომეტებულისგან მიღებული იქმნა გლეხ კაცების თხოვნა.

27 მარტს ს. კონდოლის და კისისხევის ერთათ თავ-მოყრილი გლეხობა წითელი ბაირაღით ხელში მიადგა ს. კისისხევის მემამულე თ-დ ქობულოვს და მოითხოვა მისი გარეთ გამოსვლა. ხალხს უპასუხეს მოსამსახურეებმა, რომ თავადი შინ არ არისო (იგი ამ დროს მართლა სხვაგან იყო,—თელავში), არ დაიჯერეს ეს გლეხებმა, ეგონათ, გვატყუებენო და შეამტვრიეს სადღესასწაულო კარები. აღელვებულმა ხოდაშნის და წინანდლის გლეხ-კაცობამ ბევრ სოფელში დაკეტა სამინისტრო სკოლა და გამოისტუმრა მასწავლებლები შემდეგი სიტყვებით: „წადით გაგვეცალეთ, შვილოსან, ჩვენ თქვენი არა გვეყურება-რა და ჩვენი თქვენ; შვილებს გვიმახინჯებთო, არც ქართულს ასწავლით, არც რუსულს, არც თათრულს, ტყავს კი რუსულათ გვაძრობთო.

ყველა სოფლებში ერთსა და იმავეს თხოულობენ როგორც მთავრობისგან, ისე თავად-აზნაურობისგან, სახელდობრ:

1) მოისპოს გლეხთა ვალდებულობა და ხიზნობა. მათი ნადელები უსასყიდლოთ მათ საკუთრებათ ჩაითვალოს.

2) შეეძლოთ უსასყიდლოთ სარგებლობა ტყეებისა და საძოვარი ადგილებისა.

3) მიწის ღალა არ იყოს მოსავლის მეათედზე მეტი. მემამულემ თავისი წილი უნდა წაიღოს თავის ხარჯით.

4) მოისპოს ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლოთ, როგორც, მაგ. ძღვნის მიტანა, გუთნით, ხარ-ურმით, თუ მუშა ხელით მოხმარება და სხვ.

5) გზების კეთება დაევალოს ყველა წოდებას.

6) სახემწიფო მიწები, ტყეები გადაეცეს გლეხებს თავიანთ სასარგებლოთ საწარმოებლათ.

7) უფასო სასწავლებლების (პირველ-დაწყებით) დაარსება და სწავლება დედა ენაზე.

8) მოისპოს მღვდლის მისაცემი დრამის ფული. მიეცეს მათ მიცვალებულის წინ-გასაძღოლი ერთი მან., ჯვარის საწერი—სამი მანეთი.

მეოცე საუკუნე.

—

**ჭიათურა.** 1905-მა წელმა ჭიათურის ცხოვრებაშიაც ბევრი ღირს-შესანიშნავი ცვლილება შემოიტანა. ის საერთო ქარიშხალი, რომელიც ყოველივე ძველს, დამპალს, დახავსებულს ძირიან-ფესვიანათ ამოჰგვრას უქადის, აქაც შემოიჭრა; ხალხი გაათვითცნობიერა და შეაგნებინა რომ ის ადამიანია და არა პირუტყვი, რომ ის სულიერია და არა უსულო მანქანა. და აი, გამოიყვანა კიდევაც ხალხი ბრძოლის ველზედ და პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა წინ, პირველი ბრძოლა მოაგებინა. ჩვენ მოგახსენებთ აქაურ მადნის მუშების ბრძოლაზე. სანამ ამას დავაბოლავებდეთ ურიგო არ იქნება გავიცნოთ აქაური მუშების 3 თვის წინანდელი მდგომარეობა:—18საათი სამუშაო დღე, ისეთ ადგილზედ სადაც ყოველ წუთში სიკვდილი მოსალოდნელია, საწოლათ ნესტიანი მიწა, (ზოგან თვით მაღარო) სახურავათ თავისავე ძველა, საჭმელათ ცივი მჭადი ზოგან მარტო პური, და ქირათ კირკაზედ მომუშავეს ამ 17-18 საათის მუშაობაში 70-80 კაპ. კაჭკაზედ მომუშავეს-40-50 კაპ. და მრჩეველს 30-40 კაპ. დაუმატეთ ამას არა ადამიანური მოპყრობა, მიუმატოთ ისიც რომ მექარხნეებგან დაწყებული ყველა: მექარხნე ექსპორტიორი მრეწველი და სხვა-და-სხვა, ყველა ამათ წანართმევ-წანაგლეჯით გამდიდრებულ-გასუქებულია, ნათლათ დაინახავთ მათს შევიწროებას და უზომო ექსპლოატაციას....

მაგრამ დრონი იცვალენ, რაც გუშინ იყო ის დღეს აღარ არის: შეიგნეს რომ მუდამ ამ პირობებში გაჩერება მოუხერხებელია, და 26 იანვრიდან გაიფიცნენ აქაური მაღაროს მუშები. წარადგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი:—1) დაწესდეს 10 საათის სამუშაო დრო; (ამაში არ შედის საუზმისა და სადილზედ 2 საათი) 2) მიეცეს კირკაზე მომუშავეებს დღიური ქირა-1 მან. 60 კაპ. დათქაზედ მომუშავეს—1 მან. 40 კაპ. კაჭკაზედ მომუშავეს—1 მან. 20 კაპ. ხოლო მრჩეველს—80 კაპ. ამას გარდა კარგი ბინები, და სხვა-და-სხვა... მზიდავებს სადაც რვა გზა ჩაქონდა ცხენს, ფუ-

თხედ 2 კაპ. სადაც ხუთი-3 კაპ. და ამ გვარათ. აგრეთვე გაორკეცებულ იქნას ქირა ვაგონის მტვირთავთათვის.

ამ ქირების მიცემა რასაკვირველია იმ დროს შეუძლებელი იყო, რადგან ადგილობრივ ბაზარზედ იმდენი ფასი არ იყო, რომ ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებიია და მრეწველსაც რამე დარჩენოდა; რისგამო ორ თვეს გაგრძელდა გაფიცვა; შემდეგ-კი, ადგილობრივ ბაზარზედ ექსპორტიორებმა (ჯერ მხოლოდ ორმა-სამმა ფირმამ) მოუმატეს ფასი ფუთზე 2 კაპ. და მუშაობა ხელ-ახლა გაჩაღდა და მუშათა მოთხოვნილებანაც სრულიათ დაკმაყოფილებულ იქნა.

ამას მოყვა ნოქრების გაფიცვაც; მოითხოვეს ჯერ-ჯერობით კვირა-უქმე დღეებში სავაჭრო-სახელოსნოების დახურვა გარდა სადაქოსა და სამიკიტნოსა; ამ მხრივ ნოქრებმაც შეისრულეს თავიანთი მოთხოვნა.

28 თებერვალს დაასაფლავეს საერობო დარაჯის მიერ მოკლული მაქრო გიუნაშვილი. (მუშა). მიცვალებული დაასაფლავეს ს. მუქრუთის საყდარზე, ჭიათურიდგან 5 ვერსის მანძილზე. მიუხედავათ იმისა, რომ მაღლობი სერები იყო ასავლელი და გზებიც ცუდი, 15,000 კაცი და ქალი მაინც აყვა სასაფლაოზე. კუბოს ამკობდა 19 გვირგვინი სხვა და სხვა საამდროვო წარწერებით. ამათგან 10—12 მახლობელ სოფლებიდანაც იყო. სასაფლაოზე წარმოითქვა რამდენიმე საამდროვო სიტყვები. ხალხს წესიერება არსად არ დაურღვევია, ამის მიზეზი ის იყო, რომ არც ერთი „მშვიდობის დამცველი“ არ ხლებია პროცესიას.

ლადო გუბელი.

# რუსეთის ქრონიკა

გაზეთებში უკვე აღნიშნული იყო, თუ როგორ შეეგება ბიუროკრატიული მთავრობა ექიმების კრებას, რომელსაც ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომები უნდა შეემუშავებია. როცა ექიმები თითქმის საერთოთ შეიკრიბენ მოსკოვში ზემოხსენებულ მიზნისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გადაჭრით აუკძალა მათ კრებების გამართვა. ეს აკრძალვა მინისტრის ამხანაგმა დააფუძნა იმ ხმებზე, რომელთა მიხედვით ექიმები კრებებზე მთავრობის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყვნენ. ექიმებმა მაინც თავისი გაიტანეს და თვით მინისტრი აიძულეს ნება დაერთო მათი კრებებისთვის.

20 მარტს, ამხანაგური თათბირი ქონდათ პიროგოვის კრებაზე მოწვეულ ექიმებს და შემდეგი დაადგინეს:

„პიროგოვის კრებამ, რომელსაც დაესწრო რუსეთის ყველა კუთხეებიდან მოწვეული ექიმები ნათლათ დაინახა შემდეგი: აწ არსებული წეს-წყობილება შეუძლებელათ ხდის ყოველგვარ კულტურულს და მშვიდობიან მუშაობას. განუსაზღვრელმა თვითნებობამ ადმინისტრაციის პოლიტიკისა, ანგარიშ-მიუცემელმა თარეშმა და პატრონ-პატრონობამ ფინანსების საქმეებში, აღად-ბედზე დამყარებულმა სამხედრო საქმეებმა საზარელ სიღარიბეში ჩააგდო ჩვენი სამშობლო, ჩვენთვის ძვირფასი სისხლის მორევით შედება და მორწყო შორეული მანჯურიის ველ-მინდორი. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. რუსეთს მთელის საშინელი ჭირი—ხოლერა. თვალ წინ გვიდგას ათასი და ათი ათასი მსხვერპლი, რომელსაც ეს საზარელი უბედურება შეიწირავს. მერე რას აკეთებს ბიუროკრატია? ერთი მხრით მოგვიწვევს ჩვენ ავუხსნათ ხალხს დროებითი ზომების სარგებლობა და იმავე დროს საზიზღარი ჭორების მოხებით ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებს და გვისევს ხალხს.—ჩვენ, ექიმები, ვაცხადებთ, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ხალხის წარმომადგენელთა კრება, დაფუძნებული საყოველთაო თანასწორ, პირდაპირ და დაფარულ კენჭის ყრაზე განურჩევლათ სქესისა, ეროვნების და სარწმუნოების; ამასთანავე დაუყოვნებლივვე შეწყდეს ომი, მოისპოს გაძლიერებული დაცვის წესები, გადაეცეს პოლიცია თვით-მმართველობას, უზრუნველყოფილი გახდეს ბეჭდვის, სიტყვის, კრებების, კავშირების და გაფიცვათა თავისუფლება, განთავისუფლდენ პოლიტიკური და რელიგიოზური საქმეებისათვის დატყვევებულნი და გაგზავნილნი, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ პირველმავე კრებამ ხალხის წარმომადგენელთა მოახდინოს ის პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმები, რომელთა გარეშე შეუძლებელი ჩვენი ქვეყნის ყოველ მხრიული წინსვლა და მშრომელი ხალხის აღორძინება. ამ ნაირ რეფორმებს, გარდა ზემოთ დასახელებულის, შეადგენს კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი, თანასწორობა ეროვნებათა, ენების და სარწმუნოებათა, საყოველთაო სავალდებულო სწავლა, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, თავისუფალი თვით-მმართველობა, საყოველთაო, პირდაპირს, ფარულს და თანასწორ არჩევნებზე დამყარებული, ბეგარის სისტემის რეფორმა, შემოსავლის მიხედვით გადასახადების შემოღება, არა პირდაპირ გადასახადების მოსპობა, მშრომელი ხალხის მიწის მხრივ უზრუნველ ყოფა. ყველა დარგის დაქირავებულ მუშებისათვის უნდა დაარსდეს 8 საათის სამუშაო დღე, ქირის მინიმუმი, სახელმწიფო ხარჯით დაზღვევა მუშებისა: ავათმყოფობისაგან, მოხუცებულობისაგან, დასახიჩრებისაგან და სამუშაოს უქონლობისაგან; საზოგადოთ, ფართო სანიტარული კანონდებულება მუშათა ინტერესების დასაცველათ“.

ამ კრებაზე, სხვათა შორის გამოითქვა ის აზრი, რომ რუსეთი საკმაოთ გაიტენა რეზოლიუციებით, რომ დროა საქმეზე გადავიდეთ და შევუდგეთ სახელმწიფო ახალ წესებზე მოწყობასო.

—

გაზეთ „სლოვოს“ სიტყვით 22 მარტს უმაღლეს ადმინისტრატიულ წრეებში მოიხდარა ბჭობა ახალი სამხედრო გემების აშენების შესახებ. ამ განზრახვისათვის აპირებენ 250 მილიონი მანეთის გადადებას.

—

პოლტავის გუბერნატორს ადგილობრივ პოლიციისათვის და ერობის უფროსებისათვის დაუგზავნია დარიგების ქაღალდები, რომლებშიაც ავალებს მათ თვალ-ყური adevnon მცხოვრებთა სულიერ განწყობილებას, ხელი შეუშალონ ყოველივე პროპაგანდას სოფლებში და სოფლებთან ბაზრს, შემოიარონ ყველა ის ადგილები, სადაც სხვებზე უფრო გამწვავებულია ადმინისტრაციის და მცხოვრებთა შორის ურთიერთი დამოკიდებულება. თუ ვინიცობაა ვინმემ შეამჩნიოს საყურადღებო რამ, წამსვე გააგებინოს ან ერობის უფროსებს ან პოლიციას. პოლიციასა და ერობას შორის უნდა სუფევდეს მჭიდრო კავშირი და ურთიერთი დახმარება. გლეხებთან ბაასის დროს უნდა ეცადნენ გავლენა იქონიონ მათ პატრიოტულ გრძნობებზე და აუხსნან არეულობის შედეგების მნიშვნელობა; აუხსნან აგრეთვე აზრი 18 თებერვალს გამოცემულ რესკრიპტისა და ჩააგონონ, რომ ეს მანიფესტი ასწავლის წეს-რიგის დაცვას, მთავრობის წინაშე მორჩილებას და ნდობას იმ მოხელეთადმი, რომელნიც დაუნიშნავს მეფეს მაგნე აზრების და მაგნე პირების ამოსაფხრობათ.

—

22 და 21 მარტს ვარშავის მიდამოებში საერობო დარაჯებს ორი როტა ჯარის კაცთა დახმარებით გაუჩხრეკიათ მრავალი მცხოვრებლები. ვოლიაჩისტში შეუპყრიათ 77 კაცი. უპოვიათ მრავალი პროკლამაციები და რევოლვერები.

—

სამარის ბირჟის საზოგადოებას შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გაუგზავნია ტელეგრამა, რომელშიაც გამოუთქვამს ის აზრი, რომ 18 თებერვლის მანიფესტის განხორციელება შეიძლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება პიროვნების ხელ-შეუხებლობა, სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლება, და თუ იმ საბჭოს წევრებათ, რომელმაც ხალხის წარმომადგენელთა

არჩევნების წესი უნდა მოაწყოს, მართლაც სანდო პირები იქნებიან მოწვეული. წინააღმდეგ შემთხვევაში აღელვებულ სახელმწიფოს და გამწვავებულ აგრარულ მოძრაობას ვერავითარი ღონისძიება ვერ დაამშვიდებს და საშინელ კატასტროფის მოახლოებას ვერავერი შეაჩერებს.

—

იალტაში 15 მარტს, ვიცე-გუბერნატორის მურავიოვის ნებადართვით, მოედანზე, თავის საჭიროებათა გამოსარკვევათ კრება ქონდათ იალტის მუშებს, რომელზედაც 2000 კაცმა მოიყარა თავი. კრებამ შეიმუშავა და ხელი მოაწერა მინისტრთა კომიტეტში გასაგზავნ პეტიციას, რომელშიც აღიარებულია დამფუძნებელი საკრებულოს, სიტყვის, კავშირების, კრებების თავისუფლების და პიროვნების ხელუხებლობის აუცილებლობა. კრებაზე აშკარა პოლიციის მოხელეები არ ყოფილა. ქალაქს ჯარი იცავს. (რ. ვ.)

—

ირკუტსკში ამ ბოლო დროს შემოაკლდათ ფქვილი, შაქარი, ნავთი. სენოვაკის ფასის აწევას ზედ დაერთო მუშების გაფიცვები. ყველაზე უწინ აშოძრავდენ რკინის გზის მოსამსახურეები, ისინი ადრე დაამშვიდეს მით, რომ ჯამაგირზე 50% მოუმატეს. შემდეგ შეწყვიტეს მუშაობა ღვინის სახაზინო სკლადში. მათი უმთავრესი მოთხოვნილებებიც დაკმაყოფილებულ იქნა. 28 თებერვალს გაიფიცა ერთი დიდი სტამბის მომუშავეები, რომელსაც 4 მარტს მთელი ქალაქის სტამბების მუშები შეუერთდა სულ 500 კაცამდე. გაფიცვა ჯერ არ გათავებულა. 6 მარტს გაიფიცა ზაბაიკალის რკინის გზის ტელეგრაფისტები. (რ. ვ.)

—

სარატოვის საგუბერნიო ერობის სამმართველომ გაგზავნა ყველა სასოფლო სამმართველოებში ცირკულიარული განმარტებანი „ბნელ ძალთა" მიერ დაწყებული აგიტაციის შესახებ, რომელიც მიმართულია საზოგადოთ ინტელიგენციისა და განსაკუთრებით ერობის მოღვაწეთა წინააღმდეგ. მაგალითათ, ავრცელებენ ხმებს ვითომც სადამოს კურსების მასწავლებლები, რომელსაც თავის ხარჯით ერობა გზავნის სხვა და სხვა სოფლებში გლეხებისთვის, არ იყოს ნამდვილი საერობო მასწავლებლები და ვითომც მათი კურსებიც უკანონოა. ამის გამო რამდენჯერმე სამწუხარო შეტაკება მოხდა მასწავლებლებსა და მცხოვრებთ შორის. ერობის სამმართველო ითხოვს, ნუ დაუჯერებენ ტყუილ ხმებს, ვინც უნდა იყოს მისი გამავრცელებელი და აგრეთვე აცნობონ იმათ თუ ვინ ავრცელებს ასეთ ხმებს. (რ. ს.)

—

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ვიტებსკისა და ლიფლიანდიის გუბერნიებში შემოღებულია გაძლიერებულ დაცვის წესები.

—

მოსკოვში რეალურ სასწავლებლის ზალაში კონცერტის გათავებისას, ვიღაც უცნობი მოულოდნელათ შეხტა სკამზე და წარმოთქვა მთავრობის საწინააღმდეგო ამაღელვებელი სიტყვა. (პრ.)

—

დვინსკში 17 მარტს, დილის 10 საათზე, მძიმეთ დაჭრეს პოლიცმეისტერის თანაშემწე ბულიგინი. ბოროტ-გამზრახველი დაიმალა. (პრ.)

—

როგორც უკვე გამოცხადებული იყო გაზეთებში, სინოდის ობერ პროკურორმა პობედონოსცევმა, რომელსაც მთელი 25 წლის განმავლობაში ხელთ ეპყრა რუსეთის შინაური პოლიტიკის საქმე— „სახელმწიფოს საქმეებზე მუშაობით დაქანცულმა" სამსახურს თავი დაანება. ამის მიზეზათ თვლიან სამღვდელოების იმ საერთო უკმაყოფილებას, რომელიც გამოიწვია სამოქალაქო მთავრობის მიერ ეკლესიის დამონავებამ, რაც არ ეთანხმება თვით პრინციპს ქრისტეს სარწმუნოებისას.

ვოლოგდის მე-18 პოლკის ჯარის კაცის საქმე, რომელსაც პროკლამაციების გავრცელება ბრალდება, სამხედრო სასამართლოს გადაეცა.

—

გასული წლის ნოემბერში შეიპყრეს ქ. ვოლმარში გლეხი ბოჩი, რომელიც ახალ გაწვეულ ჯარის კაცთა შორის პროკლამაციებს ავრცელებდა. ბოჩს წელიწად ნახევრის დატყვევება მიუსაჯა სასამართლომ.

—

ნოვოუზენის მაზრის ერთ ერთ სოფელში მღვდელმა 18 თებერვლის მანიფესტი წაუკითხა ხალხს და აუხსნა: არ დაუჯეროთ მასწავლებლებს, რომელნიც, ასე გასინჯეთ, მარხვასაც არ ინახავენო.

—

სოფ. ნოვაია-კულტაში (მოკშანის მაზრა) მღვდელი უკითხავდა ხალხს სინოდისაგან ეპისტოლეს შესახებ თანამედროვე უწესოებათა. როცა კითხვა გაათავა მიმართა ხალხს და უთხრა, რომ ყოველ გვარი უწესოების მიზეზი მასწავლებელი ქალებია, რომელთაც არც ღმერთი წამთ და არც ზნეობაო.

—

ბალაშოვის მაზრის გლეხები შეკრებილან სოფ. რომნოვკაში და გაუტანიათ თავ. ვოლკონსკის ველებიდან აუარება თივა. რომნოვკაში გამოუწვევიათ ჯარი—კაზაკები და ჯარის კაცნი გლეხების მოქმედებათა შესაწყვეტათ. გლეხები მშვიდობიანათ იქცევიან და მოითხოვენ მიწების დაუყონებლივ დამიჯვნას, რადგან თავ. ვოლკონსკიმ ძალით დაისაკუთრა სათივე-ველებიო. დამიჯნვა მათ შარშან დაპირებიან, მარა ჯერაც არ დაუმიჯნავთ.

—

ასტრახანში გაფიცვა თან და თან ფართოვდება: ელიან საყოველთაო გაფიცვას. წამოყენებულია პროლეტარიატის ჩვეულებრივი მოთხოვნილებები. კაპიტალისტები მორიგების გუნებაზე არიან, ადმინისტრაციას კი თავისი „განკარგულების" გამოჩენა სწყურია. პეტერბურგში გაგზავნილია ტელეგრამმა, რომლითაც ჯარის გამოგზავნას თხოულობენ.

—

ამას წინათ ალექსანდროვსკში, უმთავრეს მოედანზე თავი მოიყარა 1000 კაცმა, უმეტეს ნაწილათ რკინის გზის მუშებმა. გამოვიდა ორატორი-მუშა და ილაპარაკა 8 საათის სამუშა დღის სარგებლობაზე, პროლეტარიატის ბრძოლაზე კაპიტალისტების წინააღმდეგ, გაფიცვების მნიშვნელობაზე. გარეშემო ხმა მაღლა გაიძახოდენ «ურა, გაუმარჯოს თავისუფლებას»-ო. სიტყვების გათავების შემდეგ ხალხი გაემართა ქალაქის უმთავრეს ქუჩისკენ. წინ პოლიცია შეხვდა, მარა ვერაფერი გააწყო და თავი დაანება.

—

**გაზ. „რუს. უწყებების" აზრით რუსეთის აწინდელ მდგომარეობის შესახებ.** საგულის ხმიეროა ხსენებული გაზეთის 18 მარტის ნომერში მოთავსებული მეტათ საყურადღებო წერილი, რომლის შინაარსი აქვე მოგვყავს.

18 თებერვალს გამოქვეყნებული რესკრიპტი გვპირდებოდა ძირითად ცვლილებებს სახელმწიფო წყობილებაში. ვინაიდან სრულიად ახალ, ახალ პრინციპებზე დამყარებული შენობა უნდა აშენებულიყო, ამისთვის საჭირო იყვენ ახალი კაცები, რომელთაც ძველ წესებთან არავითარი კავშირი არ უნდა ქონოდათ. მერე, როგორ მოიქცა მთავრობა? იმ პრინციპების დასარღვევათ, რომელთაც ესოდენ შეარყიეს რუსეთის შინაური მშვიდობიანობა, მოწვეულ იქნა იმავე პრინციპების კაცები—ძველი ბიუროკრატები. გამოდის, რომ ბიუროკრატებმა უნდა დაარღვიონ ის, რის აშენებისთვისაც ისინი მუდამ იღწოდენ და იღწვიან.

აღარავის აღარ წამს ბიუროკრატების შემოქმედებითი ძალა და ასეთი ზომებით **ხალხს ვერ დაამშვიდებენ.**

ვერ დაამშვიდებს ხალხს აგრეთვე ვერც საშინაო საქმეთა მინისტრის სიტყვები, რომლებითაც მან მოსკოვის ქალაქის საბჭოს დეპუტატებს მიმართა: ,,მმართველ წრეებში ამ ჟამათ ბეჯითი მუშაობაა მომავალი რეფორმებისათვის საჭირო მასალების დასამზადებლათო‘‘.

როგორი ბეჯითიც უნდა იყოს ეს მუშაობა, რამდენი ქაღალდებიც და ენერგიაც არ უნდა დაედოს მას მსხვერპლათ, ის მაინც ვერ დაამშვიდებს ხალხს, რადგან მკვდარია თვით მისი სათავე და წყარო. რამდენათაც მეტს გაგრძელდება ამ ნაირი შეუსაბამობა, იმდენათ უფრო ძლიერდება მღელვარება. მთავრობას არ შეუძლია, რომ ამას ყურადღება არ მიაქციოს. შიდლოვსკის და კობეკოს კომისიებმა ნათლათ დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება ახლანდელი საქმეების მოწყობა საზოგადოების, ხალხის დაუკითხავათ. ხომ დამეთანხმებით, რომ ის პირები, რომელნიც მთავრობას აურჩევია სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლათ არამც და არამც არ ჩაითვლებიან ხალხის ინტერესების წარმომადგენლებათ. თუ ვისიმე სურვილების გამომხატველი არიან ისინი, ისევ ჩვენი ბიუროკრატიის სხვა და სხვა დაწესებულებათა და მათ მხოლოთ ბიუროკრატიის ენდოშა და არა საზოგადოება.

ორ უკანასკნელ ხელმწიფეთა მეფობის მაგალითებმა, როცა ათას ნაირ კომისიებს თვლა აღარა აქ, ნათლათ დაგვიმტკიცა ჩვენი ბიუროკრატიის უღონობა და სიკოტრე შემოქმედობით მოღვაწეობაში. მხოლოთ რუსის ხალხის ძალას შეუძლია ყოველმხრიული რეფორმების შექმნა და გაზრდა და გავითარება რუსეთის მატერიალური და სულიერი ძალებისა. მხოლოთ თავისუფლათ არჩეულ ხალხის წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩვენი სამშობლოს მძიმე მდგომარებიდან ხსნა მხოლოთ ასეთი წარმომადგენლები შთაბერავენ ახალ იმედებს და ახალ ძალას მამულის დატანჯულ მკერდში.

# დასაფლავება

მოკვდა... ჯალათის ტყვიამ გაუგმირა უანგარო გულის ფიცარი და მოკვდა...

წვალებაში, ტანჯვაში განვლო მთელი თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე... ღვიურ ლუკმაზე ფიქრში იყო მუდამ დღე მას შემდეგ, რაც ცნობიერი ცხოვრება დაიწყო. დასვენება, სიამოვნება, განცხრომა არ იცოდა რა იყო, მაშვრალი მკლავი არ შეუჩერებია; მოხუცი დედ-მამა, ახალგაზრდა ცოლი, დები და ძმები მისი მარჯვენით იკვებებოდენ და დღეს მოკვდა იგი, რადგან ჯალათის ტყვიამ უანგარო გულის ფიცარი გაუგმირა.

რატომ მოკალით? რატომ?

უსამართლობას, ღვიძ წახსნილ თვით ნებობას, უუფლებობას ებრძოდა, თავისუფლებას შენატროდა, ნამდვილ ძმისათვის სიცოცხლესაც არ დაზოგავდა, პატიოსანი მუშაკი იყო და თქვენ მოკალით! რათ მოკალით?

რა გაგიკეთათ, რა შეგმატათ თქვენ მის სიკვდილმა?

აბა შეხედეთ მიცვალებულს! დააცქერდით მისს მკრთალ სახეს, სისხლით შეღებილ ტანისამოსს, უმანკო სისხლით. მის ბაგეზე მწარე ღიმილი იხატება; ამ ღიმილით ის ძმას აყვედრის, იმ უგუნურ ძმას, ხალხის შვილსა, ვინც სასტიკ ტყვიით მოუსწრაფა ბედშავს სიცოცხლე.

„შენთვის ვიბრძოდი, უგუნურო, და შენ მომკალი, რათ მომკალი?“

ასაფლავებენ... თავ ახდილი, უბრალო კუბო ოთხ ვაჟკაცს გაუდვია მხარზე. მრავალი ხალხი, შავი ხალხი მიყობა კუბოს... ყველას დაღვრემილი სახე აქვს... მშვიდათ და წყნარათ მიდიან წინ სასაფლაოსკენ. იქ დამარხავენ თავის ამხანაგს, უკანასკნელათ გამოესალმებიან და მათ გულს, ათასი გრძნობით აღგზნებულს ერთი გრძნობა კიდევ შეემატება: გრძნობა შურის ძიებისა!

გაზაფხულის ცხრა-თვალი მზე ოქროს სხივებით თავს ევლება მიცვალებულის სახეს...

ყველა, ვინც კუბოს მიყობა უკან, ერთი ფიქრითაა გაოცებული:

რათ, რათ მოგვიკლეს ამხანაგი? საერთო სიჩუმე მწყობრი სიმღერის ხმამ დაარღვია, გულადი სიმღერას, რომლის ვაჟკაცურმა ჰანგებმა ცეცხლის ტალღებივით შეარღვიეს გულ-მკერდი. ყველამ წამოწია ჩაქინდრული თავი, თვალები კეთილშობილური ნაპერწკლებივით აენთენ, თავის ძალა იგრძნეს და გულად ხმას თავისი ხმაც შეუერთეს. ოჰ! რა შვენიერი, რა საამო იყო იმ სიმღერის სიტყვები!

მზემ უფრო უხვათ წარმოგზავნა თავის ფერადი სხივები და უფრო მძლავრის სინათლით გაანათა ხალხი. იმ წარმტაც სიმღერას თითქო თვით ქუჩებსაც და უზარმაზარმა შენობებმაც ხმა მისცეს და მისი ძლიერება გააათკეცეს.

დიდ-ხანს მიდიოდენ წინ სიმღერით... აღარაფერი აღარ ახსოვდათ. გული რაღაც ნაირათ ჩუხჩუხებდა, სულის თქმა უჭირდა ყველას, თავის თავს ვეღარ გრძნობდენ და აღტაცებით გაიძახოდენ სიმღერის მამაცურ სიტყვებს. სასაფლაოს მიუახლოვდენ... გამოჩნდა ძეგლებით და ამოზურგული მიწით დაფარული მოედანი. ლამაზი ძეგლები, ლამაზი წარწერებით სხვისი იყო, ამოზურგული მიწები კი, უწარწეროთ, ბალახ-ბულახით დაფარული მათსავით გაჭირვებულების...

სიმღერის ხმას რაღაც უცნაური, არა სასიამოვნო, სულ გარეშე ხმაურობა შეემატა. ნეტა რა იყო?

ყველა შეჩერდა. გაჩუმდენ. ხმაურობამ იმატა. ახლა ყველა მიხვდა; ყველამ გაიგონა ცხენების თქარა-თქური. წვეტიან ნემსებივით შეიჭრა ახალი ხმაურობა მათ ყურში. განუსაზღვრელი მწუხარება და ზიზღი გამოიწვია მათში ამ ხმაურობამ. მტვერის კორიანტელი ადგა. ცხენების ფეხის ხმა მოახლოვდა. საერთო კვნესა გაისმა გაშმაგებული ხალხისა. კვნესას წამიერი სიჩუმე მოყვა და შემდეგ კვლავ გაისმა იგივე სიმღერა. სასაფლაოს მიუახლოვდენ, შევიდენ კიდეც ალაყაფის კარებში. პირღია, შავი სამარე, ახალ გათხრილი, მზათ იყო მსხვერპლის მისაღებათ. უცხო ხმაურობას ყურადღებას აღარავინ აქცევდა, ცხენოსნები კი მოახლოვდენ...

მთას თეთრი ღრუბელი მოწყდა და ზევითკენ გასწია, გაიზარდა და მოკაშკაშე მზეს დაუფარა ბრწყინვალე სახე. მზე მოიღუშა, ნაღვლიანათ გადმოხედა ხალხს, სასაფლაოს და ფერ-მიხდილმა გულ-ნატკენმა ყვედრების თვალი მიმოავლო ჩაგრულ ქვეყანას.

თაგუნა.

## კიდევ ნაციონალიზმის შესახებ.

არ იქნა და არა: ნაციონალიზმის ანუ ეროვნული კითხვის გადაწყვეტას საშველი არ დაადგა. რამდენათაც მეტს ლაპარაკობენ ამ საგანზე, იმდენათ უფრო ბურუსში ხვევენ, იმდენათ უფრო აბნელებენ მას. ეს უმთავრესათ იმის ბრალია, რომ ამ საგანზე წერა უსუსურ პუბლიცისტებმა თავის მონოპოლიათ გაიხადეს. გინდათ თუ არ გინდათ, სწორეთ ამათ იკისრეს ქვეყნის ხსნა დაღუპვისაგან. უნდა იყოს ერი,

ერი ყველაფერია, იგი მიზანია, უზენაესი შემეცნება! ყველაფერი უნდა შეეწიროს მას, ყოველივე უნდა დაივიწყოთ იმის წინაშე! მაგრამ რა არის ეროვნება, ვისგან შედგება ერი,—ამის შესახებ ხმას არ იღებენ ჩვენი ნაციონალისტები. მხოლოთ ამას წინეთ ბ-ნ გ. რ.-იმ მოინდომა ნაციონალიზმის საფუძვლის გამოძებნა. მან ამის შესახებ დაბეჭდა ორი წერილი ასეთი სათაურით: „ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი სიყვარულისა“ და „ეროვნება და სიყვარული“ (იხ. „ცნობის ფურცელი“ №№ 2781 და 2782). ბ-ნი გ. რ. ამბობს, რომ ნაციონალიზმი არ შეიძლება თავისიანების სიყვარულზე დავამყაროთ, რომ ნაციონალიზმის საფუძველს არ შეადგენს სიყვარული. თუ ეს ასეა, იმ შემთხვევაში ნაციონალიზმი კონსერვატორობის და შოვინიზმის, რეაქციის და კაცთამძულვარების მოძლვრება იქნება. ავტორის აზრით, ეროვნული სიყვარული ოცნებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგიც «ეროვნულ მიმართულებას უარყოფდეს», რომ თუ გნებავთ, იგიც თავისებური ნაციონალისტია“, ხოლო ნაციონალისტობა მას თურმე სულ სხვა ნაირათ ესმის. სამწუხაროთ, ავტორმა სრულებით ვერ გამოარკვია თავის შეხედულება, თუმცა კი გვპირდება, რომ „ნაციონალიზმისთვის სულ სხვა ნამდვილი ნიადაგი უნდა ვიპოვოთ“- ამნაირათ, თუმც ბ. გ. რ.-მ მოიწადინა ნაციონალური კითხვისათვის ფარდა აეხადა, მაგრამ ეს მან ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა და ვგონებ, ვერც შემდეგში მოახერხებს, რადგანაც ერთ და იმავე დროს ნაციონალიზმს კიდევაც უარსაყოფს და კიდევაც თავის თავს ნაციონალისტათ თვლის. აშკარაა, რომ აქ დიდი გაუგებრობაა ავტორის მხრით. სამწუხაროა, რომ ავტორი ვერ ამჩნევს იმ წინაამდეგობას, რომელშიაც იგი თავიან-ფეხებიანათ ვარდება. მაგრამ ასე იყო თუ ისე ბ ნ გ. რ.-მ გაზ. „ცნობის ფურცელში“ პირველათ დაგმო ნაციონალიზმი, როგორც მავნე და ფუჭე მიმართულება. ხსენებული ავტორის მხრით ეს დიდი გაბედულებაა, რადგანაც გაზ. „ცნობის ფურცელი“ ბ-ნ სიტყვა-კალამის მეთაურობით გამუდმებით გუნდრუკს უკმევდა და უკმევს ნაციონალიზმს. და აი ახლაც „ცნობის ფურცლის“ მე-№ 2783-ში ბ-ნი კალამი ამტკიცებს იმას, რაც გ. რ.-ი უარყო. ბ-ნი კალამი გვეუბნება, რომ „ნაციონალიზმს, ეროვნებას გარდა სიყვარულისა სხვა არავითარი საფუძველი არა აქვსო“. ავტორის აზრით „სიყვარული, სიმპატია ქმნის ეროვნებას, ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ პრინციპს, რომელიც მოითხოვს ერისათვის როგორც თავისებურ, განსხვავებულ საზოგადოებისათვის, დამოუკიდებლობას და ავტონომიასო“. სწორეთ რომ მეტათ ღრმა მოაზრე ბძანდება ბ-ნი კალამი! აბა, ვინ იფიქრებდა, თუ სიყვარულს ასეთი რამეების შექნა შეეძლო! ნუ თუ „ნაციონალიზმი მხოლოთ სიყვარულია!“ ბ-ნ კალამს ეტყობა, ძლიერ უყვარს ოცნებობა. ეს ყოველთვის არ გამოდგება, არ გამოდგება უმეტესათ სამეცნიერო საგნების კვლევის დროს, რაც ასე უყვარს მას. ამიტომ სინამდვილეზე რომ გამოვიყვანო, მე ერთ კითხვას მივცემ მას: ვინ მიაჩნია მას ქართველ ერათ: ქართველი მუშა ხალხი, თუ ქართველი კაპიტალისტები? ქართველი თავადაზნაურობა თუ ქართველი გლეხები? მისი აზრით, ქართველებათ უნდა ჩაითვალონ ქართველი კაპიტალისტები ან და ან ქართველი მუშა ხალხი, ან ქართველი მემამულეები და ან ქართველი გლეხები. ერთის და მეორის ქართველათ ჩათვლა შეუძლებელია, ვინაიდგან, ბ-ნ კალამის აზრით, ეროვნებას ქმნის სიყვარული, სიმპატია და თანაგრძნობა. თუ რა ნაირი სიყვარულია ქართველ მუშებსა და ქართველ კაპიტალისტებს შორის, ან ქართველ მემამულეებსა და ქართველ გლეხებს შორის, ეს ყველამ კარგათ უწყის, რასაკვირველია გარდა ბ-ნ კალამისა. ამ ვაჟბატონის ლოღიკას რომ ავყვეთ, ჩემსა და ბ-ნ კალამის შორისაც დიდი სიყვარული, სიმპატია და თანაგრძნობა უნდა სუფევდეს, რადგანაც ორივე ჩვენ ქართველები ვართ, ორივეს საერთო ისტორიული ცხოვრება გვექნება და სხვა ამისთანები. მაგრამ ნუ ვაწუხებთ ბ-ნ კალამს, ნუ ვუფრთხობთ მას ტკბილ ძილს, იყოს ოცნებით გარემოცული. სინამდვილესთან კი იგი შორს არის.

ფ. მ.

---

## თავმოყვარეობა

მოთხრობა პოტაპენკოსი (თარგმნილი რუსულიდან).

დასასრული.

თუმცა სმუროვიც გამოემშვიდობა, მაგრამ მასვე დაედევნა უკან. მხოლოთ ჩამორჩა რამოდენიმე ნაბიჯით, რომ კალტუხინს ის არ შეემჩნია. ღამემ მოიცვა არე-მარე, ფანრები ქუჩებზე უკვე ანთებული იყო. კალტუხინი თუმცა ჩქარა მიდიოდა, მაგრამ ბარბაცებდა. ხან-ხან უცფათ გაჩერდებოდა, წაივლებდა თავზე ხელებს და მერე ისევ გაჩქარებით გააგრძობდა გზას. სმუროვმა ისიც შეამჩნია, რომ ფეხები მთვრალ კაცსავით ეხლართებოდა. ყოველივე ეს აწუხებდა სმუროვს და ფიქრობდა იქნება კალტუხინი ჭკუიდან იშლება. მაგრამ რათა? ეს რომ წინეთ მომხდარიყო, როდესაც მისი საქმე მართლა აუტანელი იყო, შესაძლებელი იქნებოდა; მაგრამ ახლა, როცა საქმეც გაიჩინა და კიდევაც მოეწყო, რათ უნდა გაგიჟდეს. იქნება სახლიდან მოუვიდა წერილი და გაიგო რამე ახალი უბედურება. ამ გამოცანებში იყო გართული სმუროვი და თან ამხანაგს მისდევდა უკან. ნახევარ საათზე მეტი გავიდა, რაც ესენი უნივერსიტეტიდან წამოვიდენ, თითქმის ქალაქი გათავდა; დაიწყო ვიწრო ქუჩები, პატარა ტალახიანი სახლები, გრძელი ხის ღობეები. სადღა მიდის? აქ ცხოვრება არავისაც არ შეუძლია, არამც თუ მოხელეს.

აი სრულიათ ცარიელი ქუჩა; ფანრები იქ სუსტათ ბჟუტავენ და იშვიათათაც დგას; აქ ადამიანის ჭაჭანებაც არსად არის. სმუროვი კიდევ უფრო ჩამორჩა, რომ ამ ყრუ ქუჩაში კალტუხინს მისი ფეხის ხმა არ შემოსმოდა; მაგრამ თვალს მაინც არ აშორებდა მას.

ბოლოს გამოჩნდა რაღაც მინგრეულ მონგრეული შენობები, რომლებშიაც არავინ არ უნდა მდგარიყო. ერთის ახლო კალტუხინი შეჩერდა, უცფათ მარჯვნით გაუხვია და გაქრა. სმუროვმა მოუმატა ნაბიჯს. მივიდა იმ ადგილზე, სადაც კალტუხინი მიიმალა, და დაინახა ფართო შესავალი ერთ ეზოში. იქ ბნელოდა. არავითარი მოძრაობა არ შეუმჩნევია. ნელი ნაბიჯით შევიდა ეზოში. დააშტერა ღამის სიბნელეში თვალები და რაღაც საგანი შეამჩნია, რომელსაც კინაღამ დაეტაკა. ეს იყო ბოჩკა. მოავლო ხელი ბოჩკას—სველი იყო.

„ალბათ აქ ცხოვრობენ—რადგანაც დღეს წყალი უზიდავთ“ გაიფიქრა მან. კიდევ მოავლო ირგვლივ თვალები, რომლებიც ახლა უფრო შეეჩვიენ სიბნელეს, და კიდევ გაარჩია რაღაცები, რაც პირველ შემოსვლაზე ვერ შენიშნა. თვითონ ეზოს კარებთან იდგა პატარა, ძველი ფლიგელი, რომელიც ცალ მხარეზე იყო გადაფერდებული. მას ქონდა კარი და ორი ისეთი პატარა ფანჯარა, როგორიც აქვს სოფლურ ქოხებს. ფანჯრები დარაბებით იყო დახურული და ერთი იმათგანის ჭრუტანიდან გამოკრთოდა წვრილი ზოლი სინათლისა;

„დიახ, აქ ცხოვრობენ“,—თქვა თავისთვის სმუროვმა.

მაგრამ აქ რაღაცა გამოურკვეველმა შიშმა შეიპყრო სმუროვი. ღმერთმა იცის სად შევიდა. იქნება ავაზაკების თავშესაფარია. მოსკოვს კარგათ იცნობდა, კარგათ იცნობდა მის

არე-მარესაც და აქ კი პირველათ იყო. მხოლოთ დარწმუნებული იყო, რომ იქ შევიდა კალტუხინი. არ უნდოდა ფიქრათაც გაეტარებინა ის აზრი, რომ კალტუხინი ავაზაკებთან საქმეს დაიჭერდა.

განა ყოველივე ეს გასაოცარი არ არის? ეს ახირებული ქცევა ამხანაგისა, ის გარემოება, რომ შემოეხეტა აქ, მიყრუებულ ქუჩაში; წინეთ კი რაღაც გაკვეთილზე, მოხელეზე მელაპარაკებოდა. სმუროვმა არ იცოდა, რა ექმნა. ხომ იყო შესაძლებელი, რომ კალტუხინი არ შესულიყო იქ; იქნება მას მოეჩვენა, მანძილი ატყუებდა. თუ თვითონ კალტუხინს არ სურს, რომ მე მისი ბინა ვიცოდე, რა მოყვება შედეგათ, რომ მე პირდაპირ ფლიგელში შევიდე? ცხადია ეს გააჯავრებს კალტუხინს, რომელსაც, იქნება, რაიმე დამამცირებელ ვითარებაში მივასწრო და უზრდელათ ავხდი ფარდას მის საიდუმლოს. «ასე არ ვარგა»—გაიფიქრა მან.—შეიძლება ძლიერ საჭიროც იყოს მისი მონახვა, რომ დავიხსნა რომელიმე გასაჭირისაგან, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ძლიერ ფრთხილათ!?

მან გადაწყვიტა არ დაურაკუნოს კარი და არც ფლიგელში შევიდეს.

ის წყნარათ გამოვიდა ეზოდან, რომელსაც კარები არ ქონდა; ყურადღებით დაათვალიერა სახლი და ყველა მისი ნიშნები, რომ დღისით არ შეცდომოდა. ცდილობდა დახსომებია სახლების ფორმა და ფერი. გადასახვევში არავითარი წარწერა არ იყო, ცხადი იყო, ეს ქალაქი არ იყო. ყოველივე ნიშნები კარგათ აკრიფა, რომ უკეთ დახსომებოდა გზა და ბოლოს გავიდა განათებულ ქუჩაში.

მეორე დღეს სმუროვი ჩვეულებრივზე ადრე მივიდა უნივერსიტეტში, მაგრამ კალტუხინი ჯერ არ მოსულიყო. თორმეტი საათი შესრულდა და ის მაინც არსათ ჩნდა. სმუროვი შეწუხდა იმიტომ უფრო, რომ წუხელ საღამოს არ შევიდა, იქნებ სწორეთ მაშინ უნდოდა დახმარება და ის კი წამოვიდა.

მაგრამ პირველის ნახევარზე კალტუხინი უკვე მოვიდა. ძალიან ცუდი სახე ედო. განსაკუთრებით თვალები ქონდა ამღვრეული, მკრთალი, საფეთქლებზე გადაჭიმოდა ლურჯი ძარღვები, რომლებშიაც სისხლის ნელ დენას თვალით ხედავდი. მის გამოხედვაში გაბრაზება იხატებოდა.

სმუროვი მიესალმა და კითხა:

— შენ წუხელსაც ცუდათ გძინებია!

— ჰო,—ცივათ უპასუხა კალტუხინმა.

— უძილობა ხომ არა გჭირს?

— ჰო, უძილობა—უთხრა და თავი ძირს დახარა, ალბათ იმიტომ, რომ მათი თვალები ერთმანეთს არ შეხვედროდენ.

სმუროვი მობრუნდა და შემდეგ, პროფესორის შემოსვლის ცოტათი წინეთ, გამოვიდა აუდიტორიიდან. გეგმა ახლა მას უკვე შედგენილი ქონდა. ის გავიდა ქუჩაში. შეამოწმა თავისი ჯიბე და, ნახა რა იქ ორი მანეთი, ეტლს დაუძახა. დიდხანს იარა უგზო-უკლოთ, სანამ იპოვნიდა ნაცნობ ალაგს. როგორც იქნა, მივიდა. იცნო წაფერდებული ფლიგელი, ფართო უკარო ეზო, მაგრამ ბიჭკა შუა ეზოში აღარ იდგა. იქ ახლა ვიღაც დაფლეთილი დედაკაცი ვარცხლში სარეცხს ცასტრიალებდა. სმუროვი მიუახლოვდა და მიესალმა. დედაკაცი გაკვირვებული უცქეროდა მას.

— გამარჯვება!—უთხრა სმუროვმა

— გმადლობ, ბატონო!—მიუგო დედაკაცმა.

— აქ, ამ ეზოში, წყლის მზიდავი ცხოვრობს, არა?

— ცხოვრობს, მერე? იქნება გნებავთ სამუშავო მისცეთ? ის ეხლავე მოვა სახლში. თუ გნებავთ, თქვენც გიზიდავს წყალს, რატომაც არა...

— არა, ჯერ არ მინდა,—უთხრა სმუროვმა.—თქვენ მისი ცოლი იქნებით!

— ცოლი ვარ; მაშ არა ვარ? ისე როგორ იქნება? როგორ არა ვარ მე მისი ცოლი?

— მეც იმას ვამბობ, რომ თქვენ მისი ცოლი ხართ. ახლა ის მითხარით, დგმური ვინმე ცხოვრობს თქვენთან?

— დგმური?—კიდევ გაიკვირვა დედაკაცმა და რაღაც ეჭკით ასწია თავი. შეიძლება, აკვირვებდა ის გარემოება, რომ სტუმარმა ყოველივე იცოდა.

— ჰო, დგმური, სტუდენტი!—დაუმატა სმუროვმა.

— შეიძლება, სტუდენტიც იყოს, მე რა ვიცი?

— მე ვიცი, რომ ის სტუდენტია.

— ჩვენ, ბატონო, არ შეგვიძლია ეგეები ვიცოდეთ, რა ჩვენი საქმეა?

ეტყობოდა, დედაკაცი სიტყვა „სტუდენტს“ უცქეროდა როგორც ცუდსა და აკრძალულ რასმეს და ამიტომაც თავს იმართლებდა.

— ჩვენი საქმე არ არის ეგეები ვიცოდეთ! ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ! ჩვენი მძიმე შრომით გაჭირვებით ვირჩენთ თავს. რა ჩვენი საქმეა! არა, არა!

— მეც ვხედავ, რომ თქვენ ღარიბი ხალხი ხართ. ისიც, ალბათ, ძლიერ ცოტას გაძლევთ.

— თვეში ათ-ათი მანეთი დაგვპირდა, მაგრამ კი არაფერი მოგვცა და. ან საიდან უნდა მოგვცეს? სამ-სამი დღე თვითონ უჭმელი ზის. ზოგჯერ, სიცოდვის გამო, ჩვენ თვითონ ვაძლევთ პურს..

სმუროვმა მწარეთ ამოიოხრა. დედაკაცმა გააგძო:

— შემოვუშვით... უარი როგორ უნდა გვეთქვა, როცა კაცი გვეხვეწებოდა. ჩვენი საკუჭნაო მაინც ცარიელი დგას, ჩვენც მას მივეცით, მაგრამ ქირას მისგან ჯერ ვერა ვხედავთ.

— სადაა ის თქვენი საკუჭნაო?

— განა თქვენ გნებავთ?

— არა, მე მეგობარი ვარ მისი, მინდა გავიგო, როგორა ცხოვრობს.

— ნახეთ, თუ ისე გსურთ, მაგრამ რა უნდა ნახოთ? იქ დასათვალიერებელიც არაფერი არ არის. აქვს კრავატი ძველი ფიცრებისაგან ჩემმა ქმარმა დაუჭედა, ძველი ჩემოდანი და წიგნები,—აი სულ მისი ქონება. ძალიან ღარიბი ბატონია; ისე ღარიბია, ისე, რომ მეორეს კიდევ ვერ შეხვდები. ჩვენ ხომ საწყლები ვართ, და ის ჩვენზედაც კი საწყალია.. ნახეთ, რადგანც გსურთ..

დედაკაცმა სარეცხს თავი გაანება, ფართუკზე ხელები გაიწმინდა და გაუძღვა სმუროვს.

დერეფნიდან პირდაპირ იყო შესავალი ამ საკუჭნაოში, მაგრამ იქ ბნელოდა; სპიჩკის ანთება შეიქნა საჭირო რომ დაენახათ რამე

მართლაც, ყველაფერი იქ სწორეთ ისე იყო, როგორც დედაკაცმა აწერა ფიცრებისაგან ახოხოლებული კრაოტი, კალტუხინის ჩემოდანი და წიგნები. დახედა სმუროვმა, თავი გაიქნია და გამოვიდა. გამოეთხოვა დედაკაცს, რომელსაც უთხრა, რომ კიდევ მოვა, როცა მათი დგმური შინ იქნება, და გამოვიდა ქუჩაში, ჩაჯდა ეტლში და გაჩქარებული გასწია. მიეჩქარებოდა, რომ კალტუხინისთვის უნივერსიტეტში მიესწრო. ის სწორეთ მაშინ მივიდა, როცა უკანასკნელი ლექცია თავდებოდა და გაჩერდა კარებთან.

სტუდენტები გამოდიოდენ; მათ შორის კალტუხინიც იყო. სმუროვი მიუდგა მას გვერდით და რაღაცაზე ლაპარაკი დაუწო; განგებ ნელა მიდიოდა, რომ სხვა ამხანაგებს უკან ჩამორჩენოდენ.

— კალტუხინ. ერთი რამე უნდა გთხოვო!.

— რა? დაფანტვით კითხა კალტუხინმა.

— ერთი წამით ჩემსას შემოდი.

— რათა?

— ისე... საქმე მაქვს.. სმუროვი ცდილობდა რამე მიზეზი ეპოვნა:—მე ვთარგმნე ნემეცურიდან პატარა რამ.. ერთ ალაგას გამიჭირდა. შენ ხომ ჩემზე კარგათ იცი ნემეცური და დამეხმარე...

— დაღალული ვარ!—უხალისოთ უთხრა კალტუხინმა.

— მით უკეთესია, ჩემსას დაისვენებ.

— არა, უნდა ვიმეცადინო.

— რა უნდა გააკეთო?.

— შეგირდს უნდა ვასწავლო... ის მელოდება?.

— მერე რა უშავს, ცოტა რომ დაიცადოს? შენ ისედაც ბევრს ასწავლი. ამ დროს სმუროვმა გაუყარა მკლავი მკლავში, თითქოს ეშინოდა არ გამექცესო.—კალტუხინი ყოყმობდა. რისთვისღაც მას ეძნელებოდა შეესრულებია ამხანაგის ასეთი უბრალო თხოვნა. მაგრამ ამ ლაპარაკში, მისდა შეუმჩნევლათ, მივიდენ სმუროვის სახლამდე.

— აი კიდეც მოვედით,—უთხრა სმუროვმა, ხუთი წამით შევიდეთ.

— ხომ გითხარი, არ მცალია... ერთხელ კიდევ სცადა კალტუხინმა მოეშორებია თავიდან სმუროვი.

— ახირებულია! ნუთუ ამხანაგის გულისთვის ათი წამის გამეტება არ შეგიძლია?

— მართალია... კალტუხინს შერცხვა. სმუროვი ყოველთვის გულწრფელ და კეთილ ამხანაგათ მიაჩნდა.

ისინი ავიდენ მეოთხე სართულში. სმუროვს ეჭირა პატარა ოთახი კრაოტით, სტოლით და დივანით. ყველაფერი ლამაზათ და სუფთათ იყო მოწყობილი. ბევრს ვერ შოულობდა თავისი შრომით სმუროვი, მაგრამ შეეძლო ცოტა კარგათ მოწყობილიყო. უყვარდა სისუფთავე და ყოველთვის თვითონ ალაგებდა თავის ოთახს.

— შენ მაგ დივანზე ჩამოჯექი,—უთხრა მან კალტუხინს და მე ამასობაში ჩემს თარგმანს მოვძებნი. შეიძლება მოძებნა დამიგვიანდეს,—დაუმატა მან,—და უკეთესი იქნება მანამდე შენ მაქ წამოწვე აი ბალიში. გადაუდო ბალიში კრაოტიდან დივანზე.

— მართლა,—წამოიძახა სმუროვმა.—მე ხომ პურისა და ძეხვის ნაჭერი მომრჩა, მოდი ჯერ შევჭამოთ.. შენ ხომ ჯერ არ გისადილნია? ეს არ დაგიშლის სადილს, პირ იქით, კიდევ უფრო გაგილვიძებს მადას..

კალტუხინმა შეხედა დივანს და ბალიშს, მერე საჭმელს გადახედა და უცფათ სახე დაემანჭა.

— არა, მე არ მცალია!—წამოიძახა მან ცივათ.—უნდა წავიდე! და სწრაფათ მობრუნდა კარისკენ, რომ მართლა წასულიყო.

— დაიცა.. ერთი წამი დაიცა.. დაჯექი თუ ძმა ხარ!.

სმუროვმა წაავლო ხელი სახელოში და დააკავა.

— კაი ერთი! აკი გეუბნები, არა მცალია.. რა ახირება იცი?.

სმუროვმა თითქო ძალათ დასვა ის სკამზე და ახლა შენიშნა მას, რომ სუნთქვა უჭირდა.

— ყური დამიგდე კალტუხინ: ნუ გეწყინება და შენ... შენ ხომ გშია.. შიმშილისაგან ხარ დაქანცული.. ჭამე..

— სრულიათაც არა! ვინ გითხრა! ბოროტი სიცილით უთხრა კალტუხინმა.—მე?

— ო, შენ, შენ გშია... რა საჭიროა დამალვა? გთხოვ, კალტუხინ, საჩქაროთ მოიკრიბო ძალ-ღონე. შენ ხომ სამსამი დღე არაფერსა სჭამ.

კალტუხინი გაკვირვებით, თითქოს შეშინებული უცქეროდა სმუროვს თავისი ანთებული, მოკიანთე თვალებით. სმუროვი გააგძობდა.

— შენ ცხოვრობ ჯურღმულში და ისიც სამოწყალოთ.. შენ ჭამ მარტო იმ პურის ქერქს, რომელსაც სიბრალულის გამო მოგაწოდებს ხანდახან წყლის მზიდავის ცოლი... ყველაფერი ვიცი, კალტუხინ, მე ვიყავი იქ.. სრულიათ შემთხვევით მოვხდი იქ, გესმის, შემთხვევით...

— ვინ მოგცა შენ მაგის ნება?—შეეკითხა კალტუხინი და წარბები მრისხანეთ მოჭმუხნა.

— ნება? ნებას აქ რა ხელი აქვს? საკმარისია გქონდეს მარტო ამხანაგური გრძნობა... მე მესმის შენი მდგომარეობა, კალტუხინ, მესმის, შენ გადამეტებული თავმოყვარე კაცი ხარ, შეურაცყვეს შენი თავმოყვარება, ყოველ ფეხის გადადგმაზე ამცირებდენ მას.

— ო, ო, ო,.. ყოველ ფეხის გადადგმაზე!—ღრიალით გაიმეორა კალტუხინმა და მკვეთრათ დააყოლა:—ყოველი შეხედვით, ყოველი მოძრაობით! მე არ შემეძლო, გესმის, არ შემეძლო ამეტანა ეს...

მან დაუშო თავი სტოლზე. შემდეგ ისევ გააგძო:

— აი რისთვის გამოვიგონე ეს გაკვეთილი... მე მოვითმენ, სმუროვ, მოვითმენ, გესმის, მოვითმენ! მაგრამ შენ არავის უთხრა, გეხვეწები!!.. გაცილებით უფრო ადვილია ჩემთვის ავიტანო ზიზღი წყლის მზიდველისაგან, ვიდრე ზიზღი და დაცინება ამხანაგებისა...

— დაიცა,—შეაჩერა ის სმუროვმა:—ამაზე შემდეგ იყოს. ჯერ ლოგინზე მოდი, ეს უფრო საჭიროა.. კმარა მორიდება, ჩვენ ხომ ამხანაგები ვართ, ჩვენ ბავშობიდან ვიცნობთ ერთმანეთსა, ჩემთან აბა რატომ უნდა გრცხვენოდეს? აი ამ წამში სამოვარს დავადგმევინებ. მოდი ერთათ ვჭამოთ.. შემდეგ.. აი რა უნდა გითხრა: მე მაქვს აჩენილი ერთი გაკვეთილი; მე შემომაძლიეს, მაგრამ მე სხვაც მეყოფა და შენ გადმოგცემ... რას იტყვი?

სმუროვმა უწინ დაიწყო ჭამა და ამხანაგიც მიიპატიჟა. კალტუხინმა დიდი გაჭირვებით, აუათმყოფური ძალდატანებით, როგორც იქნა, გაიწოდა ხელი პურისაკენ, მერე ჩაიც დააყოლეს. კალტუხინი წამოლაპარაკლეთა და მოუთხრო, თუ როგორ ცხოვრობდა წყლის მზიდავისას.

ეს იყო რაღაც საშინელება, ისეთი გაჭირვება, სისაწყლე, რომლის ატანა შეუძლია მხოლოთ ძლიერი ხასიათის კაცს.

— მე გადაწყვეტილი მაქვს, როგორმე უნივერსიტეტი, გავათავო, უთხრა მან სმუროვს,—ძნელია ეს ჩემთვის, ძლიერ ძლიერ ძნელია!. ხან და ხან ასე ვფიქრობდი, ეს არის წავიქცევი, მაგრამ მამხნევებდა ის შეგნება, რომ არავისგან დამოკიდებული არა ვარ, არავის არაფერს არ ვთხოვ და ვერავინ გამიბედავს შეურცხება მომაყენოს. შეგნება ამისა ყოველთვის მაძლევდა ღონეს. ახლა შენ მეუბნები, რომ ჩემთვის გაკვეთილი არის; გმადლობ, გაკვეთილს ავიღებ, უმიზნოთ თავის დატანჯვა სრულიადაც არ მინდა, მით უმეტეს, რომ შენს გულწრფელობაში ეჭვი არ შემომაქვს.. მაგრამ თუ ხელახლა გასაჭირში ჩავვარდები, არაფრის აღარ მეშინია ახლა, არც გასაჭირის და არც სიღარიბისა. ახლა აღარ შემიძლია ვისმეს თხოვნით მივმართო.. წავალ ისევ ჩემს წყლის მზიდავთან, დავდგები ბნელ საკუჭნაოში და ვჭამ შავ პურს. მას შემიძლიან კიდევ ვთხოვო დახმარება, მაგრამ ამხანაგებს კი არაოდეს!

კალტუხინის საქმე მალე გასწორდა; მოკიდა ხელი გაკვეთილს და კურსი ისე დაასრულა, რომ უკიდურესს გასაჭირში აღარ ჩავარდნილა.

სმუროვმა ეს ამბავი დიდხანს ინახა საიდუმლოთ და ბოლოს, როცა ორივემ კურსი დაასრულეს, მხოლოთ მაშინ უამბო ამხანაგებს.

ბევრს მოაგონდა თავიანთი უზრდელი მოპყრობა და მასხარათ აგდება კალტუხინისა, რომელსაც გასაჭირი, უკიდურესი გასაჭირი ატანდა ძალას მიემართა მათი დახმარებისათვის, მოაგონდათ და შერცხვათ.

მოხუცი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„მოღვაწეობით დატვირთულმა პიროვნებამ, ქართული ენისათვის მრავალჯერ და მრავალ გვარათ ტანჯულ-წამებულმა კაცმა“, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა (როგორ კარგათ უდგება ერთმანეთს: „ტანჯულ-წამებული“ და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი!) ბ-ნმა თევდორე ჟორდანიამ ერთი დიდი წერილი მოათავსა გაზ. «ივერიაში» ყველა იმ ბრალდებათა თავიდან ასაშორებლათ, რომლებიც მან ჩაიდინა როგორც საეკლესიო სკოლების მეთვალყურემ. სამწუხაროთ, ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის, თუ რა დანაშაული მიუძღვის ხსენებულ გვამს ჩვენი ხალხის წინაშე. მთელი ბრალდება, რაშიაც ბ-ნ თევდორე ჟორდანიას ამტყუნებენ, მარტო ქართული ენის სამეგრელოს სკოლებიდან გამოდევნაზეა დამყარებული. გამოდის, რომ თუ ბ-ნ თ. ჟორდანიას ქართული ენა არ გამოედევნა სამეგრელოს სკოლებიდან (უნდა იცოდეთ კი, რომ ეს გამოდევნა მარტო მაზე როდი იყო დამოკიდებული), შესაძლებელი იქნებოდა, რომ ეს პირი მართლა ღვაწლ მოსილ და მრავალ-ტანჯულ გვამათ შერაცხულიყო. სამწუხაროც სწორეთ ის არის, რომ ჩვენში საკმარისია ქართული ენის სასარგებლოთ სიტყვის თქმა, რომ კაცს ყოველივე დანაშაული ეპატიოს. თუ ბ-ნი თ. ჟორდანია დამნაშავეა იმაში, რომ მან ხელი შეუწყო ქართულ ენის გამოდევნას სამეგრელოს შკოლებიდან, აქ ის დამნაშავეა ხალხის წინაშე. მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ ბ-ნი თ. ჟორდანია არ არის დამნაშავე, როცა იგი ბავშვებს უნერგავს თავში მავნე, გარყვნილ აზრებს და შეხედულებას, როცა იგი სახელს უტეხს პატიოსან და ხალხისთვის თავდადებულ მოღვაწეებს, როცა იგი ჯაშუშის როლს კისრულობს? რაც შეეხება დღევანდელ მის თავისმართლებას, ეს მოსწმობს მხოლოთ იმას, რომ ბ-ნი თ. ჟორდანია მეტისმეტი თავაგდებული და ურცხვი გვამი ბრძანებ-ულა, ჩვენ გვიკვირს მხოლოთ ის, რომ ჩვენ გაზეთებში იგი კიდევ პოულობს ბინას; რომ თვით „ივერიის“ რედაქცია მას თითქო თავზე ხელს უსომს. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ბ-ნ თევდორე ჟორდანიას მსგავს მოღვაწეთათვის სამუდამოთ დაკეტილი იქნეს ყველა ცოტათ თუ ბევრათ პატიოსანი დროგამოშვებითი გამოცემის კარი. შორს ჩვენგან მატყუარა, ფარისეველი, ხალხის მოღალატე. გასაკვირალი ის არის, რომ ბ-ნი ჟორდანია თავმოწონებით და რიხით წერს დღეს, თითქო აქ არაფერია, თითქო მას არავითარი საზიზღარი მოქმედება არ მიუძღოდეს ხალხის წინაშე. ასეთ ბნელ ძალებისათვის როდია პრესსა; პრესა უნდა ებრძოდეს და ზიზღს უცხადებდეს ამ ბნელ და მავნე ძალებს.

## საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგ.)

### VI.

### თანამედროვე დემოკრატია.

(იხ. „მოგზაური“ № 10)

მარა ეს თვით-მართებლობა არ ნიშნავს საშუალო საუკუნოების თემის ხელ-ახალ აღორძინებას და აღდგენას. თემს აწი აღარ შეუძლია თავის ძველებური უფლებები მოიპოვოს და გახდეს განკერძოებულ დამოუკიდებელ და შემოზღუდულ მთელი, როგორც იყო წინა დროებში. ის რჩება მთელი ერის წევრათ და თავის საკუთარ საზღვრებში მოქმედობს ამ ერის ინტერესებისთვის. კერძო თემთა სახელმწიფოს შესახებ უფლება და მოღვაწეობა მყარდება ახლა არა განსაკუთრებული ხელშეკრულობებით, არამედ ნაყოფია ცენტრალურ სახელმწიფოს უფლების ყველასათვის ერთ გვარ და თანასწორ კანონმდებლობისა. ეს უფლება და მოვალეობა ისაზღვრება არა კერძო თემთა ინტერესებით არამედ მთელი სახელმწიფოს ანუ მთელი ერის ინტერესებით.

გარდა ამისა დემოკრატიას უნდა მოეთხოვა სახელმწიფო უფლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ძალადატანებითი საშუალების გაუქმება—უნდა მოეთხოვა მუდმივი ჯარის დათხოვა და მის მაგიერ ხალხის შეიარაღების, ანუ მილიციის, შემოღება. დასასრულ მას უნდა მოეთხოვა აგრეთვე ერის ძალ-დატანებით დაქუცმაცების მოსპობა, რამდენათაც ეს დაქუცმაცება წარმოადგენდა არა ეკონომიურ განვითარების ნაყოფს. არამედ გამოწვეული იყო პოლიციურ სახელმწიფოს თვითნებობის გამო. უეჭველათ ბოლო უნდა მოღებოდა მოქალაქეების ერთი ერთმანეთისაგან ნაძალადევ დაშორიშორებას; მოქალაქეებს უნდა მიეღოთ საზოგადოების შედგენის ნება თავის საერთო ინტერესების დასაცავათ, რომ მით გავლენა მოეპოვებიათ სახელმწიფო ცხოვრების მსვლელობაზე. აქედან გამომდინარეობდა კრებების, კავშირის და კოალიციის თავისუფლების მოთხოვნა და შემოღება. დემოკრატიის მეორე მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ცენტრალური უფლება ხალხისაგან დამოკიდებული გამხდარიყო. ამის მაგალითს წარმოადგენდა ინგლისი. იქ მეფის უფლება სრულიად უძლური იყო პარლამენტის წინაშე. ინგლისის პარლამენტის უფლებებით შეიარაღებული წარმომადგენლობითი კრება გახდა იმის ერთად-ერთ ნამდვილ და შესაძლებელ საშუალებათ, რომ თანამედროვე ცენტრალისტურ სახელმწიფოს მთავრობის უფლება დამორჩილებოდა ხალხის ზედამხედველობას და კანტროლს, რომ ამ უფლებას ხალხის უმრავლესობის სამსახური ჰქონებოდა ხახეში. ამიტომ პარლამენტი გადიქცევა ბურჟუაზიის და პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის ცენტრათ, შუა გულათ. ბრძოლა საარჩევნო უფლების მოსალაპარაკებლათ უფრო ძნელი და სასტიკია ვიდრე „კონსტიტუციონურ წესწყობილების“ შემოღებისათვის.

საყოველთაო, პირდაპირი და ყველასათვის თანასწორი საარჩევნო უფლება არის საუკეთესო საშუალება მისთვის, რომ პარლამენტი ემსახურებოდეს ხალხის უმრავლესობას; პარლამენტში უნდა გროვდებოდეს ყველა ის მისწრაფებანი, რომელიც ხალხის სულსა და გულში ტრიალებს, პარლამენტი უნდა იყოს ხალხის ყოველ გვარი სურვილების გამომხატველი. ეს საშუალება არის საუკეთესო. მაგრამ არა ერთად-ერთი. ამავე მიზნისკენ არის მიმართული სხვა და სხვა დადგენილებანი, რომელიც მნიშვნელობას არ არის მოკლებული, მაგ. პარლამენტის არჩევნის ვადის შემოკლება, არჩევნების დანიშვნა სადღესასწაულო დღეებში, ამ ნაირ დადგენილების დასამყარებლათ პარტიები ყველგან გაცხარებულ ბრძოლას ეწევიან.

ამ დადგენილებებს აგრეთვე ეკუთვნის ეგრედ წოდებული **რეფერენდუმი** და **ინიციატივა,** რომელმაც ჯეროვანი ადგილი დაიკავა დემოკრატიულ შვეიცარიაში. რას ნიშნავს რეფერენდუმი? რეფერენდუმს უწოდებენ ხალხის ისეთ უფლებას, რომლის ძალით მას შეუძლია გაარჩიოს საყოველთაო ხმის მიცემით ის კანონ-პროექტები, რომელსაც წარმომადგენლობითი დაწესებულებანი წარმოუდგენს ხოლმე მას. ინიციატივა რაღაში მდგომარეობს? ინიციატივა არის ხალხის ისეთი უფლება, როცა მას შეუძლია გაარჩიოს და საყოველთაო ხმის მიცემით მიიღოს თავის წრიდგანვე გამოსული წარმოდგენილი კანონ-პროექტები. შვეიცარიაში 1874 წლის საკავშირო კონსტიტუციის ოთხმოც-და ცხრა (9) მუხლის ძალით საზოგადო საქმეების შესახები კანონები და აგრეთვე მთელი კავშირისთვის სავალდებულო დადგენილებანი გადაეცემა ხალხს დასამტკიცებლათ და სისრულეში მოსაყვანათ საყოველთაო ხმის მიცემის საშუალებით, თუ ამას მოითხოვს 30,000 შვეიცარელი მოქალაქე, ანუ რვა კანტონი. საკავ-

შირო კონსტიტუციის 123 მუხლის ძალით საყოველთაო სახალხო ხმის მიცემა სავალდებულო ხდება კონსტიტუციის ძირითადი მუხლების შეცვლის და შესწორების დროს (1891 წლის დადგენილებით ეს მუხლი ვრცელდება და გავლენას ჰოულობს წვრილმან კანონების შესწორება-შეცვლაზედაც). სახალხო ინიციატივის უფლება ჩვეულებრივი და კერძო კანონების შესახებ საკავშირო კონსტიტუციაში არ არის შეტანილი. მაგრამ საკავშირო კრება ვალდებულია დანიშნოს საყოველთაო არჩევანი და კენჭის ყრა თუ 50.000 მოქალაქე მოითხოვს კონსტიტუციის საზოგადო ან კერძო შესწორება-გადათვალიერებას. (120 და 121 მუხ. საკავშ. კონსტ.).

შვეიცარიის ზოგიერთ საკანტონო კონსტიტუციებში მცხოვრებთა უფლება კიდევ უფრო გაფართოებულია წარმომადგენლობით დაწესებულების შესახებ, ბევრ კანტონებში რეფერენდუმი არა თუ შესაძლებელია, როგორც საკავშირო კონსტიტუციაში, არამედ სავალდებულო და აუცილებელიცაა. ახალი კანონები და დადგენილებანი (განსაკუთრებით ფინანსიური კითხების შესხებ) **აუცილებლათ** უნდა გადაეცეს ხალხს საყოველთაო ხმის მიცემის საშუალებით მისაღებათ ციურიხში; ბერნში, შვიცში, ზოლოტურნში, გრაუბიუნდენში, აარაუში, ტურგაუში, ვადისში, და ბაზელში. დანარჩენ კანტონების უმრავლესობას აქვს მხოლოთ ფაკულტატიური, არა-სავალდდებულო რეფერენდუმი და ინიციატივა. ფრეიბურგი ერთათ ერთი კანტონია შვეიცარიაში, სადაც არც რეფერენდუმია და არც ინიციატივა. ჟენევამ, ვაატმა და ნეიბურგმა შემოიღეს მხოლოთ ფაკულტატიური (არასავალდებულო) რეფერენდუმი. ხოლო არსად რეფერენდუმს და ინიციატივას არ გამოუმჟღავნებია ტენდენციები წარმომადგენლობით დაწესებულების გასაუქმებლათ, პირიქით ისინი ყველგან შეკავშირებულია ამ დაწესებულებათა არსებობასთან. კანონების შედგენა თითქმის ყველგან მინდობილი აქვს ამ დაწესებულებებს. რეფერენდუმი აძლევს ხალხს იმ უფლებას, რომ საკანტონო საბჭოს ან საკავშირო კრების გამოცემული კანონები გაარჩიოს და საყოველთაო ხმის-მიცემით ან მიიღოს ან უარყოს. ინიციატივა კი ანიჭებს ხალხს უფლებას მოითხოვოს კანონის გამოცემა რა შინაარსისაც ეს მას ენდომება; კანონის ტექსტის შემუშავება დავალებული აქვს თვით კრებას.

რეფერენდუმს და ინიციატივას არ უნდათ მოსპონ ცენტრალური საკანონმდებლო გამგეობა—პარლამენტი. მათ უნდათ მხოლოთ ხალხის გავლენა გააძლიერონ გამგეობასა და პარლამენტზე, რათა ეს უკანასკნელი რაც შეიძლება მეტათ დამოკიდებული გახადოს ხალხისგან, ორივე ეს დაწესებულება წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიის უკანასკნელ სიტყვას.

## თფილისის დურგალთა (სტალიარის) ამქრის კრება.

დადგა დრო განახლებისა, დრო გასჯისა და თავის მდგომარეობის გათვალისწინებისა. გამოფხიზლებულმა ხალხმა გადაავლო თვალი წარსულს და დაინახა უნაყოფოთ დაკარგული დრო და თავის გაჭირვება. დაინახა ყველა ეს და ცდილობს თუ გავლილ დროს ვერ დაიბრუნებს, წარსული შეცდომები მაინც გაასწოროს რამდენათაც შეიძლება. აი ამ მიზნით შეიკრიბა ტფილისის დურგალთა ხელოსანთა ამქარი და ორი კრება მოანდომა, 20-ს და 27-ს მარტს—თავიანთ ჭირ-ვარამზედ სჯა-ბაასს და დღევანდელ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს. კრებებს ესწრებოდა 300 კაცი და წყნარათ, გულდადებით, რამდენათაც კი შესაძლებელი იყო ამ უნარის გამოჩენა მიუჩვეველი ხალხისათვის. პირველი იყო ამოდენა ხალხის ერთათ თავის მოყრა საერთო საჭიროებაზე მოსალაპარაკებლათ და განცვიფრებულნი შეყურებდენ ერთმანეთს და თითონვე არა ჯეროდათ, რომ სარგებლობდენ თავისუფლებით, სადაც არავინ გარეშე არ უშლიდათ, არ აფოთინებდა თვალს მათ გულში და არ ეძებდა ეჭვებს მათ საქციელში და სიტყვებში. დიახ თავისუფლათ ითათბირეს თავიანთ გაჭირვებაზედ გაითვალისწინეს თავიანთი წესწყობილება და ბევრი რამ ამოაჩინეს. დღეს პირველათ იგრძნეს, რომ ცხოვრება წინ წასულა, თვითონაც თავიანთ უნებურათ დროთა მიხედვით წინ წაუწევიათ და ზოგიერთა ძველი წესი და ადათი მოჟამებულა და გამოუდეგარი გამხდარა. გამოარკვიეს, რომ ამქრული ორგანიზაციას თავისი დრო მოუჭამია და ალარ შეფერის ალარც განვითარებულ ცხოვრებას და ველარც მათ ინტერესებს იცავს. იქამდინ მოძველებულა რომ კანონის მიერ დაკისრებულ მიზანსაც ველარ ემსახურება თურმე. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ხელოსანთა ხელმძღვანელობა, ნივთიერი დახმარება და ოსტატთა და შაგირდთ-ქარგალთა შორის განწყობილების დამყარება. ხელოსნების განვითარება, ქვრივ-ობოლთა დახმარება და სხვა. ვერც ერთი მხრით ვერ შეუსრულებია მოვალეობა და ვერც ერთი იმედი ვერ გაუმართლებია. ამ ყოვლათ უმოქმედო-უსარგებლო ორგანიზაციას თავისუფლათ უფათურებია ხელი ხელოსნების ჯიბეში და წელიწადში სამი ათასი თუმანი მიურთმევია. ბევრი კურიოზები მოიგონეს ამ ორგანიზაციის წარსულიდან და ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ამ ორგანიზაციას სარგებლობის მაგიერ ზარალი მოაქვს: შებოჭა და შეამცირა რიცხვი ხელოსნობისა გაადიდა ვადა შეგირდობისა და ქარგლობისა და გააძნელა ოსტატობის (ატტესტატის) მიღებაო. ორგანიზაციის წევრები ჩვენ პატრონების მაგიერ ბატონებათ გაგვიხდენ, იმათი ჯიბე გახეულ ტომარას გავს, რომელშიაც რამდენიც უნდა ჩაყარო, ძირს გაუა, ვერა გზით ვერ გამოამსობსო,—დაამთავრა სიტყვა ბ. ვაშაკიძემ და დაუმატა, რომ ისე კაცი არ შევიდა ამ ორგანიზაციაში რომ ფული არ გაეფლანგა, და ვერას გზით გადახდევინება კი ვერ მოხერხდაო. შეიგნეს შეუფერებლობა მოძველებულ ორგანიზაციისა და ერთხმათ დაადგინეს: მოვსპოთ ამქრული ორგანიზაცია—უპრავა, გავაუქმოთ, ამიტომ მომავალ ორგანიზაციის პირთა არჩევანებში მონაწილეობას ნუ მივიღებთ და დღეიდან მის არსებობისთვის ხარჯსაც ნულა გადავიხდითო—ხოლო თუ გარემოება მოითხოვს რაიმე საერთო საჭიროებათა გაძღოლას, ამას საერთოთ გაუძღვეთ და ჩვენს თავს ჩვენვე თითონ მოუაროთო. რაც ამ ორგანიზაციის არსებობისთვის ფული გვჭირდებოდა შეგვიძლიან უფრო საჭირო და სასარგებლო საქმეს მოვახმაროთ, როგორც სკოლას, წიგნთ-საცავ სამკითხველოს და სხვა. განმარტა ხელოსანმა ორალორმა მიხეილ ჩოდრიშვილმა.

საჭიროთ და სასარგებლოთ დაინახეს დღეში რვა საათით მუშაობა. ამ კითხვამ ცხარე კამათი გამოიწვია, მხოლოთ ცოტა წინააღმდეგობა. აშკარათ ვერავინ ეწინააღმდეგებოდა სამუშაო დროს შემოკლებას, მხოლოთ სხვა და სხვა მოსაზრება წარმოადგინეს. ფართოთ შეეხო ამ კითხვას და საკმაოთ ახსნა გონივრულათ რვა საათის მუშაობა ხელოსანმა ოსტატმა გაუხიმ. ამ საკითხსვე შეეხენ ბ. ვაშაკიძე და მიხეილ ჩოდრიშვილი. უკანასკნელმა მოკლეთ გააცნო თუ რა სარგებლობას მოუტანთ დაქირავებულ ხელოსნებს, თუ ისინი ამ დროით ისარგებლებენ თავიანთ განსავითარებლათ. მხოლოთ ბ. იოსებ მაჭავარიანმა რომ სამუშაო დროს შემოკლებით ისარგებლებს თვით დამქირავებელი ხელოსანიც, რადგან განვითარების გარეშეთაც, დასვენებული ხელოსნის ნამუშავარი უფრო ბარაქიანი და ნაყოფიერიც იქნება და რიგიანიც ღირსების მხრითაო. ამიტომ ვადგენთ რვა საათის სამუშაო დღესაო დაადგინეს ხმის უმეტესობით. საერთოთ კი ის აზრი გამოითქვა, რომ მოგებული დროით ისარგებლონ ყველამ, საჭირო ცნობის შეძენას მოახმარონ. ხელოსანმა ოსტატმა გაუხმა საჭიროთ დაინახა, რომ საერთო ყურადღება იყოს მიქცეული, რათა ქარგალთა და უსწავლელ ხელოსანთ ისწავლონ ხატვა და ხაზვა და სხვა რისთვისაც ერჩიათ სასწავლებლის დაარსება მსურველთაგან და თითონაც უფასოთ იკისრა სწავლება.

კრებამ უყურადღებოთ არ დასტოვა არც შაგირდები და არც ნოქრები. შაგირდების შესახებ იმ დასკვნას დაადგა, რომ რადგან მცირე წლოვანი ბავშვები მძიმე სამუშაოთი იჩაგრებიან და ბეჩავდებიან არ მიიღებოდენ შაგირდებათ ნაკლებ 15 წლის ყმაწვილისა—საერთოთ კი ამ კითხვის მოწესრიგება, როგორც სხვა კითხვებისა—ამბარის დაარსება, რომელიც კრებამ საჭიროთ დაინახა, მოსპობა ნაჭრობით მუშაობის და სხვ. კომისიას მიანდო, რომელიც შესდგება 15 კაცისაგან: რვა ოსტატ ხელოსნისა და შვიდ ქარგალ ხელოსნისაგან, რომელნიც 27 მარტს იყვნენ ამორჩეულნი.

მოსპეს ბაზარზე ავეჯეულობის (მებელის) გატანა, მოსპეს აგრეთვე ავეჯეულებისა (მებელჩიკებზე), მოვაჭრეებზე და ჩარჩებზე გაყიდვა. გამოითქვა ის სურვილი, რომ დურგალთა ამქრის ხელოსნებიც შემოიერთონ, ამიტომ სავალდებულოთ მიიჩნიეს ყოველმა დამსწრემ იქონიოს ზნეობრივი გავლენა და შეაგულიანოს ნაცნობი ხურო-დურგალი შემოუერთდენ სტოლიართა ამქართ, რათა ადვილი იქნება შეერთებულის ძალით გააუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა—, თუ არ შემოუერთდებიან დაიყოლიონ მაინც იმაზედ, რომ იმათაც მიიღონ ამათი გადაწყვეტილება.

**დამსწრე.**

**რედ.-გამომც. ი ვ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го апрѣля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.